


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, მტკიცე ბეჭდურ სიფყვას, ცყდილებით და ჭებობით ბუძის გაცანა ყველა უკადრისდამაგ უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, **26** სექტემბერი, 2015 წელი.

№181 (7826)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

„ანორაგა თბილისის“ და სხვათა შესახებ

ქართულ არქიტექტურას ჭილ-ყვავები შეესივნენ

არ გეგონოთ, რომ ეს „ტაბულა“ ვილასის ტიპი-ტომარაა...

ანუ ჩარბოლეიშვილის ძალი აქამდე უნოლას თუ უვიდან ქვევით ენოდა, ახლა ქვევიდან უვიით ავირებს...

ნარჩენი და ნაბაჟი სერიოზული ბიზნესის წყაროა!

ნარჩენების გადაშენებით და სწორი მიმართულების მიხედვით წარმატებული ბიზნესის კეთება შესაძლებელია

სად გადის დემოკრატიული პრობლემის გადაჭრის გზა?

„ღვთის იხე მებქინა ხვსურითი, როგორც არასდროს“...

საქართველოს „ქალები მშვიდობისა და სისოცხლისთვის“ ქვემოქმედებას აბრძელებენ

TBILISI POTO FESTIVAL 2015

ბანეთუბანში (ლელვთახევში), თბილისის ფოტოფესტივალი გაიხსნა. ფესტივალი გერმანელი, პოლონელი და ლიტველი ფოტოგრაფების საერთო პროექტით „ომის შემდგომი ისტორიები“ გაიხსნა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების 70 წლისთავს ეძღვნება.

პროგრამა 200-მდე ქართველი და უცხოელი ფოტოგრაფის ნამუშევარს აერთიანებს, რომელიც ექსკლუზიური გამოფენების, მასტერკლასების და ტრადიციული „ფოტოგრაფიის ლამის“ პროგრამაში იქნება წარმოდგენილი.

წელს თბილისის ფოტოფესტივალის საპატიო სტუმარია ცნობილი ჯგუფი „IDYSTURB“, რომელიც ფრანგ ფოტოჟურნალისტებს აერთიანებს. 26 სექტემბერს, 17:00 საათზე, ფონტაინ კლუბში ჯგუფის წევრები ლია ლექციას და პრეზენტაციას ჩაატარებენ. ჯგუფი „IDYSTURB“ მსოფლიოში ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც გიგანტური ფორმატის ფოტოების გაკვრა სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში, შენობების ფასადებზე დაიწყო. ფოტოები მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ასახავს და ურბანული პეიზაჟის ნაწილი ხდება.

ქველ თბილისში, ლია ცის ქვეშ, ტრადიციულად, გაიმართება „ფოტოგრაფიის ლამე“, რომელშიც 15 ქვეყნის 200-მდე ფოტოგრაფია გაერთიანებულია.

2015 წლის თბილისის ფოტოფესტივალი, 1 ოქტომბერს თბილისის ქველ ეზოში (კოტე აფხაზის №49) მაგნუმის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სკანდალური ფრანგი ფოტოგრაფის ანტუან დ'აგატას გამოფენის მსოფლიო პრემიერით დაიხურება. პროექტი „დაბნელება“ 2009 წელს საქართველოში გადაღებულ ფოტოებს აერთიანებს.

მომზადა თაბა მოსიაბ
ილგუზა ნაბარეიშვილის ფოტო

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მოლოდინი

მთავრობა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტით თავს იწონებს

პარლამენტი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიღების მოლოდინშია, მთავრობა გაზრდილ პარამეტრებზე აპელირებს, ოპოზიცია კი, ეკონომიკურ კრიზისს პროგნოზირებს.

საკანონმდებლო ორგანოში მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი 1 ოქტომბრამდე შევა. დოკუმენტით განვიხილავთ ციფრები მხოლოდ ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურისთვის არის ცნობილი, რომელიც ამბობს, რომ ბიუჯეტი დაახლოებით 10 მილიარდამდე ლარი იქნება.



მინისტრის ინფორმაციით, მომავალი წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 3-პროცენტით ეკონომიკურ ზრდაზე, 3-პროცენტით საბიუჯეტო დეფიციტზე და დაახლოებით 4-4,5-პროცენტით ინფლაციაზე, რაც ხადურის შეფასებით, გათვალისწინებულია ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკით.

ხადურის განმარტებით, მომავალ წელს, საქართველოში პირველად საშემოსავლო გადასახადის დიდი ნაწილი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს დარჩება და ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები დაახლოებით 8,5 მილიარდი იქნება.

„სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები დაახლოებით 10 მილიარდი ლარი (9,9 მლრდ ლარი) იქნება“, - აცხადებს ხადური, რომელიც არ აკონკრეტებს, რა კურსზე დაიგეგმა მომავალი წლის ბიუჯეტი.

ფინანსთა მინისტრის მტკიცებით, გაცვლითი კურსი ბიუჯეტზე დიდ ზეგავლენას არ ახდენს, რადგან კურსი ზემოქმედებს მხოლოდ ორ ფაქტორზე - საგარეო ვალის აღებასა და მის დაფარვაზე.

თაონა მანაბაძე

ავღანეთში დაღუპული პასილ ყულჯანიშვილი საქართველოში ჩამოსვენება

ბერლინში იმყოფებოდნენ სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, თავდაცვის მინისტრი თინათინ სიდაშელი, გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი თემურ მღვებრიშვილი, საქართველოში აშშ-ის ელჩი იან კელი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძგური, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.



ვასილ ყულჯანიშვილი აეროპორტიდან რუსთაველაში, საკუთარ სახლში გადაასვენეს.

პირველი კლასის რიგითი ვასილ ყულჯანიშვილი სამოქმედო არეალში პატრულირებისას, მეამბოხეების მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად, 22 სექტემბერს დაიღუპა. ცხედარი საქართველოში სპეციალური რეისით ჩამოსვენდა.

ვასილ ყულჯანიშვილს რუსთაველაში 29 სექტემბერს დაკრძალავენ.

ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროების რაოდენობა 31-ს შეადგენს.

ისინი ავღანეთში დაიღუპნენ, ერთი კი - კაპრალი დავითაია, რომელიც ავღანეთში დაიჭრა, საქართველოში გარდაიცვალა.

„დამერწმუნეთ, იქ მყოფი სამხედროები ალჭურვილი არიან საკმარისი ცოდნითაც და ალჭურვილობითაც იმისთვის, რომ მაქსიმალურად შეამცირონ რისკი. თუმცა, შემცირება არ ნიშნავს რისკის გამორიცხვას. რთული რეგიონია, ცხელი წერტილია, შესაბამისად, მსგავსი შემთხვევისგან დაზღვეული არავინ არ არის“, - განაცხადა გენერალური შტაბის უფროსმა კაპანაძემ.

მც ჩემი აზრი მაქვს

არ გეგონოთ, რომ ეს „ტაბულა“ ვილასის ტიპი-ტომარაა...

ანუ ჩარკოლნიშვილის ძალი ახამდა ზაქოლას თუ ზავიდან ძველით აწყოდა. ახლა ძველიდან ზავით აპირებს...

ამ ძალს პოლიტიკური ბრძოლა რომ მათემატიკურად აქვს გათვლილი, არ მართო ტელეარხის სახელწოდებიდან ჩანს, არამედ თვითონ აქა-იქა გადაცემებიდანაც. მაგალითად, სუთშაბათის საღამოს გადაცემას „თეორემა“ ჰქვია. ვუყურე, აბა, ერთი ვნახო, რა თეორემა-მეთქი, და ნეტავი არ მეყურებინა. მთელი საღამო ერთმანეთში არეული რამდენიმე სათავისო პოლიტიკით გაჯერებული თეორემის მართებულობის სქოლისტიკურ, ანუ სპეკულაციურ, ფორმალურ-ლოგიკურ მტკიცებაში გაატარეს.

ალბათ, კარგი ფეხბურთის მწვრთნელი ვერ შეარჩევს თავის გუნდს ისე მარჯვდ, როგორც ჩერგოლეი შვილის ქალს შეერჩია ამ „თეორემის“ გუნდი. ოღონდ ფეხბურთის გუნდისგან განსხვავებით, აქ ყველა თავდასხმელი იყო - ირაკლი კიკნაველიძეც, ბექა მინდიაშვილიც, ლაშა ბაქრაძეც (ჩვენი სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი) და მთავარი ფორვარდი მაინც ნინო დანელია იყო.

რისა და შეხედულების ქონის თანაბარი უფლება გვაქვსო. სინამდვილეში ტაბულელთ საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ალტერნატიული აზრი მიიჩნის ერთადერთ ჭეშმარიტებად. ამიტომაც მთავარმა მეტაბულემ შემდეგნაირი მათემატიკური ჯამი გამოიყვანა: აქამდე მე ჩვენი გადაცემებით ვცდილობდი, რომ ქვევიდან, ანუ საზოგადოებიდან, გამენია ზენოლა ზვევი, სელისუფლებებზე მაგრამ ვინაიდან ჩვენი საზოგადოება ესოდენ მოუწინავედ



ალბათ, იკითხავთ, რაში მდგომარეობდა ამ საღამოს თეორემის დებულების მთავარი არის? რაში და, ჩვენი საზოგადოება, ქართველი საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, უმთავრესი ნაწილი, მოქალაქეობრივად მოუწინავედელია და ეგრეთ წოდებული რუსული „მეხუთე კოლონის“ თანდათან ძალამოცემული პროპაგანდის წყალობით დასავლურ სულ უფრო ზურგს აქცევს და ევრაზიისკენ აპარებს თვალს. ამ პროცესს ხელისუფლებისგან ხელდასხმულ „მეხუთე კოლონისთან“ ერთად თვითონ ხელი-სუფლებაც შეფარვით უნჭობს ხელს. ასე რომ, არა მართო ჩვენი დემოკრატია, თავისუფლება და დამოუკიდებლობა საფრთხეში, არამედ მთლიანად ქვეყანა, რომელსაც ამ უუნარო და უნათო (ეს ორი ეპითეტი ახლა ოპოზიციას, როგორც იტყვიან, პირზე აკერია!) ხელი-სუფლების ხელში არავითარი პერსპექტივა არა აქვს. ამიტომ

რადღეში იყო „თეორემა“. კიკნაველიძე (შტაბიანი ტაბულელი) პირიდან აცლიდა სიტყვას მინდიაშვილს, მინდიაშვილი - ბაქრაძეს, რომელიც გერმანიაში მიღებული ფილოსოფიურ კონფესიონალიზმად, დანელია უფრო კატეგორიული იყო როგორც სექსუალური უმცირესობის დაცვის თვალსაზრისით, ისე ქართული ეკლესიის მიმართ, რომლის თავისუფლად კრიტიკის მოთხოვნა წამოაყენა, თანაც მტკიცე, შეუვალი ტონით, ჩვენი ლიტერატურული მუზეუმის დირექტორმა (ეს ლაშა შიკო, სხვათა შორის, იმ სკამზე ზის, რომელზეც პირველ დირექტორად თვით გიორგი ლეონიძე იჯდა, აქ, ალბათ, უპირანი იქნება შეძახილი: ვაჰ, დრონი, დრონი!).

დაღონება, განსაკუთრებით კი დედაქალაქის გარეთ, ამიტომ მთელი ჩემი ძალისხმევა იქით უნდა მიემართო (რა თქმა უნდა, თქვენთან ერთად!), რომ ზენოლა გადავიტანო ზევიდან ქვევით, ანუ ხელისუფლებიდან მეწინააღმდეგე სისულელეები მივიტანო მდაბიო სალხამდე, ავუსხსნა, განვუმარტო, რატომ უნდა ვიაროთ დასავლეთისკენ და არა ევრაზიისკენ, რომელსაც ჩვენი დაუძინებელი მტერი რუსეთი მესაჭეობს... დროა, გავიდეთ სალხშიო...

მაგრამ ეს პატარა წვეპლიკა უფრო „თეორემის“ დროს წამოჭრილმა ერთმა აზრმა დამანერინა. მთელი გადაცემის მანძილზე მთავარ მეტაბულესთან ერთად აწრდილ მონაწილე იმას ამტკიცებდა, დემოკრატის პირობებში ყველას ჩვენ-ჩვენი აზ-

დამოღეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვაფხიზლოთ ჩვენი პოლიტიკურად დაბნეული და არცთუ იშვიათად პუტიუნის რუსეთისკენ მაცქერალი მოქალაქეებიო...

და სანამ გაუანადარკებული ჩერგოლეიშვილის ძალი მომავალ სუთშაბათამდე დაგვემტკიცებოდეს, მთელი გადაცემის მანძილზე „ტაბულის“ ეკრანზე დადიოდა აჩრდილი, აჩრდილი გიგა ბოკერიასი.

ბურამ ნიკლაური

ვინ რამდენს იღებს?

ბანათლების მინისტრის, მისი მოადგილეებისა და პედაგოგების ხელფასი

პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის დავით ფერაძის ინფორმაციის თანახმად, იმ ფონზე, როცა საჯარო სკოლის მასწავლებელთა საბაზო ხელფასის მხოლოდ 50-ლარიანი მატება დაგეგმილი, განათლების მინისტრის ხელფასი და სახელფასო დანამატები ყოველთვიურად, 12 500 ლარს შეადგენს.

პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის დირექტორმა განათლებისა და მეცნიერების სხვა მაღალჩინოსანთა თანამდებობრივი სარგოც გამოაქვეყნა, რომელიც, ფერაძის მტკიცებით, ასე გამოიყურება: მინისტრი თამარ სანიკიძე 3 540 ლარი, პლუს დანამატი 2 710 ლარი და პლუს პრემია 6 250 ლარი. სულ 12 500 ლარი; მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი - 2 950 ლარი; მინისტრის მოადგილეები: ლია გიგაური - 2 720 ლარი, გიორგი შარვაშიძე - 2 720 ლარი, თამაზ მარსაგიშვილი - 2 856 ლარი; დეპარტამენტების უფროსები: ალექსანდრე ონოფრიშვილი - 2 100 ლარი, პლუს დანამატი 500 ლარი. სულ 2 600 ლარი; დავით ლომინაშვილი - 2 100 ლარი,

თამარ ქიტიაშვილი - 2 115,24 ლარი; კარლო კერვალიშვილი - 2 100 ლარი, ლაშა სალინაძე - 2 100 ლარი, ნათია ჯოხაძე - 2 100 ლარი, ნატო ასათიანი - 2 100 ლარი, ნინო კვიციანიშვილი - 2 100 ლარი, ნინო ტუსკია - 2 100 ლარი.

ფერაძის ამ განცხადებაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრომ თავის დროზე შედეგი შინაარსის განცხადება გაავრცელა:

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განმარტავს, რომ მინისტრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 3 540 ლარს შეადგენს (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით). დანამატის სახით კი 2 710 ლარს იღებს საშემოსავლო გადასახადის გათ-

ვალისწინებით), რაც ყველა მინისტრის სტანდარტულ ანაზღაურებას წარმოადგენს. თამარ სანიკიძის მინისტრის თანამდებობაზე დანიშნვიდან წელიწადსა და 4 თვის ყოფნის განმავლობაში პრემიის სახით, ჯამურად, 6 250 ლარი აქვს აღებული“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ამ ფონზე, რამდენია რიგითი ქართველი პედაგოგის ხელფასი?

იმ მასწავლებლების საბაზო ხელფასი, რომლებსაც მუშაობა სრულ განაკვეთზე უწევთ, 245-დან 305 ლარამდე გაიზარდა. კლასის დამრიგებლობისთვის დანამატი 76,25 ლარია, რაც წინა წლებთან შედარებით 10 ლარით გაზრდილ სხვაობას გულისხმობს.

mediacity.ge



რუსეთის მიმართ ტექნიკით დატვირთული ეკონომიკის საპროექტო აღდგენის პროგრამის დაწყება

ოკუპირებული ტერიტორიების არააფხაზურ რეგიონების ინფორმაციის ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულ ტექნიკით, ქართული მხრიდან ცენტრის გახსნის თაობაზე. ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში მურატ ჯიოევის ინფორმაციით, სრულიად უნაპირის რაიონის მშენებლობაში მისაღწევი დაიჭრა. ჯიოევი ამბობს, რომ ინციდენტის გარემოებებს სამართლებრივად იმსახურებს არაკვალიფიციან, თუმცა, ამბობს, რომ ამ ინციდენტის მიუხედავად, საზღვრისპირა ტერიტორიაზე სიმშვიდე და სიტუაცია სტაბილურია.

ამასთანავე, დღესვე ცნობილი ხდება, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სარეაბილიტაციო ცენტრი გაიხსნება. რუსეთის სამხედრო უწყებების ხელმძღვანელის მოადგილის რუსლან ცალიკოვის განცხადებით, 2016 წელს, გაგრაში, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სარეაბილიტაციო და აქტიური დასვენების ცენტრი გაიხსნება.

მისივე განცხადებით, ცენტრში, რომელიც მუშაობას 2016 წლის ივნისში დაიწყებს, რუსეთის გაერთიანებული მე-7 სამხედრო ბაზის სამხედრო მოსამსახურეებს მოემსახურება. შეგახსენებთ, რომ რუსული მე-7 სამხედრო ბაზის მშენებლობა მიმდინარეობს გუდაუთაში. გარდა ამისა, ცნობილია, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე რამდენიმე სანატორიუმი.

შეზღუდვისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარაიშვილის შეფასებით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება უკანონოა და ოკუპაციის პროცესის ნაწილია.

თამთა ძარჩავა

© ჩატახილი ხიდის აღსადგენად

კონფლიქტის მოგვარებაში ქართველი და აფხაზი პეტიკარები და მეომრები ერთმანეთს

22 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო უაფხაზეთოდ ცხოვრობს. 22 წელია, ქართულ-აფხაზური გაყინული კონფლიქტის მოსაგვარებლად ხელისუფლებების მხრიდან არაფერი გაკეთებულა. რამდენიმე არასამთავრობო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან იყო მცდელობა ამ ყინულის გაღობვისა, თუმცა, მათაც არაფერი გამოუვიდათ, არადა, საქართველოში არიან პირიქითები, რომლებმაც კარგად იციან ამ ტრაგედიის გამოწვევი მიზეზები და ამ ტრაგედიის დაძლევის გზებიც.

10 წელი აქტიურად იფუნქციონერა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი სოსუმელი რეზო ბენდელიანი) და ამ ხნის განმავლობაში დიდი ხნის უნახავი მრავალი ქართველი და აფხაზური ოჯახი, ქართველი და აფხაზი ნათესავი, ერთი გვარის ქართველი და აფხაზი წარმომადგენელი შეახვედრა ერთმანეთს. საგულისხმოა რომ ამ ნათესაურ კავშირებს შეუძლიათ უდიდესი როლი შეასრულონ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენაში, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაუფინანსებლობისა და დაუინტერესლობის გამო ეს ორგანიზაცია სამი წელია, აქტიურად აღარ ფუნქციონირებს.

საბედნიეროდ, ამ ბოლო პერიოდში ამ პრობლემით დაინტერესდა საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური და მათი მხარდაჭერით რეზო ბენდელიანი ამჟამად მუშაობს პროექტზე, რომლის მიზანია ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარებაში, სოციოლოგიური გამოკითხვის მეტოდი, ქართველი და აფხაზი ვეტერანების, ყოფილი ქართველი და აფხაზი მეომრების ჩართვა. „ამ დღეებში

შეხვედრები მქონდა როგორც ქართველ, ისე აფხაზ ვეტერანებთან, ყოფილ ქართველ და აფხაზ მეომრებთან, რომლებიც 1991-92 წლებში ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ ქართველ და აფხაზ ვეტერანებს, მეომრებს შორის მრავალ არიან ერთმანეთის ნათესავები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს შეხვედნენ ერთმანეთს და ერთობლივად იმოქმედონ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოსაგვარებლად“, აცხადებს რეზო ბენდელიანი.

გალი-ზუგდიდის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვრს გამშვები პუნქტების გავლით ყოველდღიურად 500-მდე ადამიანი კვეთს, მათ შორის 20-30 ეთნიკური აფხაზია. „2015 წლის თებერვალ-აპრილში ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რის დროსაც გამოიკითხა 650 რესპონდენტი, გაირკვა, რომ მათი გადაადგილების ძირითად მიზანს წარმოადგენს ნათესავების მოძიება და მათთან ურთიერთობის აღდგენა, ასევე სამედიცინო დახმარება და სავაჭრო საქმიანობა. უკანასკნელი მონაცემებით, ამჟამად აფხაზეთში 15000 ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახია, ანუ 50000-მდე ადამიანის რესურსი სრულიად გამოუყენებელია, რადგან სრულფასოვანი კავშირების აღდგენას ისინი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებენ“, აღნიშნა რეზო ბენდელიანმა.

ურიგო არ იქნება, თუ ხელისუფლები-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები გაეცნობიან ამ პროექტს, რადგან ეს დიდად შეუწყობს ხელს ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული ჩატახილი ხიდის აღდგენას.

ლალო ძირია, მუხარამი.

რუსები გალუი ატომური სადგურს აშენებენ?

რუსები დაინტერესდებიან არიან გალუი ატომური სადგურის მშენებლობით. უკვე არსებობს საპროექტო სამუშაოებისთვის დაწესებული საფუძვლიანი ეტაპი. ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია ავრცელებს.

მისივე თქმით, ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე საქართველოში ადრეც იყო საუბრები, კერძოდ, 80-იან წლებში, თუმცა, ამის წინააღმდეგ აზერბაიჯანის მაშინდელი ხელმძღვანელობა წავიდა. აზერბაიჯანელებს არ სურდათ, მათ სიასლოვეს ყოფილიყო მეორე ატომური სადგური. ამ ტერიტორიაზე ხომ რაზდანის ატომური სადგური უკვე ფუნქციონირებდა.

ვახტანგ ყოლბაია იმასაც იხსენებს, რომ 90-იან წლებში, პრაქტიკულად, გადაწყდა ატომური სადგურის მშენებლობა საქართველოში და შეიქმნა გალის რაიონის რამდენიმე სოფელი: სიდა, რეფი, ნაბაკევი, სადაც ჩაის ყველაზე კარგი პლანტაციები იყო განთავსებული. საქართველოს კომპარტიის დადგენილებით, ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური კომისია შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელობაც საქართველოს მინისტრთა საბჭოს მამინდელ თავმჯდომარეს დიმიტრი ქართველიშვილს დაევა. ატომური ენერჯეტიკის საკავშირო სამინისტრომ გამოყო თანხა საძიებო სამუშაოებისთვის, ჩამოვიდა სპეციალისტთა შესაბამისი ჯგუფი, საკითხის განხილვა მიმდინარეობდა თბილისში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მის განხილვაში მთელი სამეცნიერო ელიტა მონაწილეობდა.

მოსკვიდან ჩამოსულმა სპეციალისტთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა სადგურის დაპროექტების მოსამზადებლად, სამუშაოებისათვის გამოიყო და დაიხარჯა 1 მილიონი რუბლი. თუმცა, წარმოიშვა პრობლემები შერჩეული ადგილის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რადგან ამ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ნაპრალი, რომელიც 1947 წელს ზემო სამეგრელოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად განვითარდა. იმ პერიოდში აღნიშნულ პროექტს სე-

რიოზულ წინააღმდეგობას უწევდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა. იგი მიიჩნევდა, რომ ატომური სადგურის მშენებლობა სუბტროპიკული კულტურებით მდიდარ საკურორტო ზონაში არ შეიძლებოდა. უფრო მეტიც, ამ საკითხთან დაკავშირებით მას სერიოზული კამათი ჰქონდა დამოუკიდებელი მსოფლიო ენერჯეტიკის მემბრის თაემჯდომარესთან. საბოლოო ჯამში, ქართველმა მეცნიერებმა ამ საკითხს ვეტო დაადეს.

დღეს კი რუსები ფიქრობენ, რომ მომავალში საქართველო არ იქნება დამოკიდებული მსოფლიო ენერჯეტიკის მემბრის მხრიდან რუსები ინარჩუნებენ გავლენას საქართველოზე და ამიტომ ისევ გააცოცხლეს ატომური სადგურის მშენებლობის იდეა. თუმცა, რუსები ნაკლებად ფიქრობენ სადგურის უსაფრთხო ფუნქციონირებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის ბედზე, რასაც ატომური სადგურის მშენებლობა მოიცავს.

— ორამირიდან გალუი დასაფრთხილები ტიპის ახალი ცენტრის მშენებლობას გეგმავს რუსეთის მხარე. უკვე დეკემბრიდან დაიწყო ინტენსიური სამუშაოების განხორციელება სამხედრო ინფრასტრუქტურისა და სამხედრო ბაზის შექმნისთვის და რკინიგზის პროექტიც ამას უკავშირდება. ამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. არადა, ამ ამოცანის შესრულება თავისუფლად შეეძლო რუსეთის რკინიგზის სახელმწიფო კორპორაციას, თუმცა, იქ შეიყვანეს სამხედრო რკინიგზელები და ისინი იმ სტანდარტით ამირებენ ლიანდაგის დაგებას, რომელიც შესაბამისა სამხედრო მიმდინარე ტვირთებისა და ამუნიციის გადაზიდვას. რუსები ამას გამოიყენებენ სამხედრო ძალების გადასასროლად სირიის მიმართულ „ბით“, — აღნიშნა ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ და განმარტა, რომ საექტოა, აზერბაიჯანი დღეს გალუი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის წინააღმდეგ წავიდა, რადგან აზერბაიჯანსა და მოსკოვს შორის თანამშრომლობა უფრო ღრმავდება. მანანა ნოზაძე



ღვანე დაკავებული არასრულწლოვანი გაათავისუფლეს

ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე მდებარე სოფელ ღვანში დაკავებული ორი პირიდან ერთ-ერთი, არასრულწლოვანი გაათავისუფლეს.

დაკავებული არასრულწლოვანის გაათავისუფლება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დახმარებით მოხდა.

„ეს იყო უკანონო დაკავების კიდევ ერთი ფაქტი. ჩვენს მიერ დაუფიქრებელი იქნა ამოქმედებული ცხელი ხაზი და ჩვენი აქტიური ძალისხმევით შედეგად ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით არასრულწლოვანი იქნა გაათავისუფლებული“, — აღნიშნეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

ქარელის რაიონში, ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე მდებარე სოფელ ღვანის განაპირას, ე.წ. მესაზღვრეებმა ხუთშაბათს ორი ადგილობრივი დააკავეს. დაკავებულთაგან, ერთ-ერთი, ღვანის საჯარო სკოლის მოსწავლე ტატო მამაგულაშვილი იყო. მისი ბიძაშვილი დიმიტრი მამაგულაშვილი კი ამ დრომდე დაკავებულია.

ინტერპრესი

ნარჩენი და ნაგავი სერიოზული ბიზნესის წყაროა!

ნარჩენის გადაგვარებით და სწორი მიმართულების მიხედვით წარმატებული ბიზნესის კეთება შესაძლებელია

საზოგადოებრივი მზარდი ტექნოლოგიური და სამრეწველო განვითარების ტემპის კვლადკვალ, იზრდება ადამიანის ზემოქმედება გარემოზე, რაც ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურებაში გამოიხატება. დღეს უკვე მთელი საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს, რომ თავად ეს ქმედებები და მათი გეგრდითი მოვლენები ინვესტ კლიმატის ცვლილებას, რაც ზრდის ბუნებრივი კატასტროფების ალბათობას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას.

საქართველოში ნარჩენების მართვის კუთხით უმძიმესი მდგომარეობაა, განსაკუთრებით რეგიონებში. მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილში არ ხდება ნარჩენების გატანა, ადგილობრივებს შექმნილი აქვთ „კუსტარული“ ნაგავსაყრელები, რომლებზეც უკონტროლოდ იყრება საყოფაცხოვრებო თუ სამშენებლო ნარჩენები. მოსახლეობას კი ნაკლებად აქვს გააზრებული, თუ რა ზიანი შეიძლება მიიყენოს მათ ჯანმრთელობას მსგავსმა ბიოდეგრადირებადმა ნაგავმა. ორგანიზაცია CENN-ის პროგრამის ხელმძღვანელის კახა რუხაიას თქმით, ნაგავსაყრელზე, ფანჯრადის სიმიცილის პირობებში, ბიოდეგრადირებადი ნარჩენები სრულად არ იხრნება, რის შედეგადაც გამოიყოფა მეთანი, საშიში სათბურის აირი, რომელიც 25-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ნახშირორჟანგი. ზოგიერთი ნარჩენის (მაგალითად, ფოთლების) წვის დროს კი გამოიყოფა ისეთი ნივთიერება, რომელიც პირდაპირ მოქმედებს უჯრედების დეგრადაციაზე და ინვესტ სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას. იმ შემთხვევაში, რომ ხდება ნაგავსაყრელების ეფექტური მართვა, ზიანი სარგებლობით შეიცვლება.

ევროს უტოლდებოდეს. საქართველოს მასშტაბით წარმოიქმნება დაახლოებით 1 000 000 ტ/წ საყოფაცხოვრებო ნარჩენი, თბილისში 365 000 ტ/წ. აქედან 6 000 ტ/წ ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ, არაბიოდეგრადირებადი ნარჩენი მოდის. ცნობისთვის, თუ ქალაქის ნელსახოცის გასწვრივ 2-დან 3 კვირამდე დრო სჭირდება, პოლიეთილენის პარკი იგივე პროცესს საუკუნეების მანძილზე გადაის. ასე რომ, თითოეული უკონტროლოდ დაგდებული პოლიეთილენი, აუცილებლად გადაყვება ჩვენი შეილთაშვილების თაობას.



საქართველოში წლების მანძილზე არ არსებობდა კონკრეტული რეგლამენტი, რომელიც ნარჩენების მართვის სისტემას ასე თუ ისე გააკონტროლებდა. მსგავსი კანონპროექტი წელს შევიდა ქალაქში. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენლის ნინო შავგულიძის თქმით, საჭიროა მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, რათა რეალურად შესაძლებელი იყოს ზედამხედველობის განხორციელება: „დროა, ქვეყანამ იცოდეს, რა უჯდება და მომავალში რა დაუჯდება ნარჩენების ეფექტური მართვა. შესაძლოა, რამდენიმე ვარიანტის განხილვა, მაგალითად ნაწილი ისევ დაიფაროს სუბსიდირებით სახელმწიფოს მხრიდან, ან შემოღებულ იქნეს სოციალური ტარიფები. ქვეყანა ვალდებულია, ამ ძალიან რთული პრობლემის მოგვარებისთვის ნაბიჯები გადადგას.“

მსგავსი გამოცდილება უკვე კარგა ხნის

წინ შეიძინეს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში. განვითარებულმა ქვეყნებმა ნარჩენების, როგორც არასასურველი ტვირთის აღქმა ჩაანაცვლეს ნარჩენის, როგორც ღირებული რესურსის აღქმით. ევროკავშირის მიხედვით გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა (2020) რამდენიმე პრიორიტეტულ მიზანს ისახავს. კერძოდ, ნარჩენების რესურსად გარდაქმნა და მომხმარებლის გარემოზე ზეგავლენის შემცირება ნარჩენების იერარქიის დანერგვის გზით. საქართველოში დღესდღეობით სახელმწიფოს მხრიდან ნარჩენების არანაირი დახარისხება არ ხდება. საყოფაცხოვრებო თუ სამშენებლო ნაგავი, უკეთეს შემთხვევაში, მიემართება ნაგავსაყრელისკენ, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი სადრენაჟო სისტემები, ზიანს აყენებენ გარემოს, წარმოქმნილი სითხე იღვრება ნიადაგში და ხშირ შემთხვევაში, ბინძურდება გრუნტის წყლები.

ნარჩენების გადამუშავებით და სწორი მიმართულების მიცემით რომ ბიზნესის კეთება შესაძლებელია, ამის დასტური წეროვანში არსებული მუყაოს გადამამუშავებელი საწარმოა. ნედლეული, რომელზეც აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირება დამოკიდებულია - მაკულატურაა, რომელსაც შემგროვებელი პუნქტებში ერთ კილოგრამს 15 თეთრად იბარებენ. საწარმოს დირექტორის არჩილ თვარაძის თქმით, ქარხანაში 120 ადგილობრივია დასაქმებული. საწარმოს შემოსავალი მზარდია და გოფირებული მუყაოთი დამზადებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ყუთები იყიდება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ქვეყანაში ერთადერთი მინის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც კონკურენციას უწევს საერთაშორისო იჯანსა და სამხრეთ რუსეთს, თურქული კომპანია „შიშეჯამის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციით შეიქმნა. ძირითადი ნედლეული, რომლითაც აქ ბოთლებისა და მინის სხვადასხვა ჭურჭლის დამზადება ხდება, არაორგანული ნივთიერებაა. ადგილზე მორაი და დამამუშავებელი შესაძლებელია ახალი ნაწარმის შექმნა. ქარხანაში დამზადებული ბოთლები ექსპორტზე გადის აზერბაიჯანში, თურქეთსა და იტალიაში. საწარმოს მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორის თამაზ ჭინჭარაულის თქმით, ექსპლუატაციაში შესვლიდან დღემდე 60 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. „ამ ეტაპზე, რეგიონში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბაზარზე არსებული სიტუაცია საკმაოდ რთულია, მოთხოვნა შემცირებულია. ეს წელი და, ალბათ, შემდეგიც, რთული იქნება ჩვენი საწარმოსთვის, რადგან ზარალის ცვალებადობის გამო ფინანსურ სურათს ველოდებით.“ - აღნიშნა ჭინჭარაულმა.

ძრისტინე გამთენაძე

ალიან-ჩალიანო

რაქმენად სუთმა ჰაერს ვსუნთქათ?

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე თავისუფლების მოედანზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორების დამონტაჟების პროცესს დაესწრნენ. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გაძლიერებისა და ქსელის გაფართოების მიზნით, ჰაერში სხვადასხვა დამაბინძურებლების კონცენტრაციების გამზომი მოწყობილობები საქართველოს მასშტაბით 60-მდე წერტილში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ზესტაფონი, ახალციხე, გორი და თელავი) დამონტაჟდა. თბილისში 26 წერტილი შეირჩა. სამინისტროს ინფორმაციით, გარკვეული პერიოდის შემდეგ ინდიკატორები შეგროვდება, განთავსდება კონტეინერებში და შესაბამისი პირობების დაცვით გაიგზავნება დიდ ბრიტანეთში ლაბორატორიული ანალიზის ჩასატარებლად. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობა ექნება თბილისსა და სხვა ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არსებული მდგომარეობა უფრო დეტალურად განსაზღვროს.

„სითი პარკის“ შეჩაღობა ბოლო არ უნახს

ქომბანია „სითი პარკის“ მიერ ავტომობილის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის აკრძალვა ახალი საკანონმდებლო ინიციატივა ხდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილების კანონპროექტის თანახმად, „დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ დირექტორმა ზვიად ტომარაძემ და ადვოკატმა როინ მიგრიაულმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს. ზვიად ტომარაძის თქმით, 15 ივნისიდან ძალაში შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი პარლამენტის მიერ შესული ცვლილება, რომლითაც „სითი პარკს“ განემარტა ის საშიშ შემთხვევა, რომლის დროსაც შეუძლია მოქალაქის ავტომობილის საჯარიმო სადგომზე გადაყვანა.



ტომარაძის განმარტებით, ამის მიუხედავად „სითი პარკი“ კვლავ აგრძელებს მოქალაქეთა ავტომობილების ფაჩაღურად საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანას. ადვოკატ როინ მიგრიაულის განმარტებით კი, ამის მიზნი არის ის, რომ პარლამენტში განხილვის დროს კანონპროექტში, მათ გარეშე, ჩამატებული იყოს ერთი წინადადება. „ეს ენება სწორედ ამკრძალავ ნიშნს. „სითი პარკს“ გამოკრული აქვს ამკრძალავი ნიშანი, სადაც წერია რომ ავტომობილს დატულ ტერიტორიაზე გადაიყვანენ. ჩვენთვის უცნობია ვინ ჩამატა ეს წინადადება. ვფიქრობ, ეს „სითი პარკის“ ლობირებით მოხდა. ჩვენ ამ ჩანაწერის ამოღებას ვითხოვთ. კერძოდ, ავტომობილი არასწორად დგომისას თუ ის არ აფორებს საავტომობილო მდგომარეობას, ან არ ქმნის საცობს, დაუშვებელია ასეთი ავტომობილის სპეციალურ სადგომზე გადაყვანა“, - დასძინა ადვოკატმა. კანონპროექტის თანახმად ავტომობილი ავტოსადგომზე დატულა, რომ ამ საკანონმდებლო ინიციატივასაც პარლამენტში ზეპირადაა ქუცნაშვილი გაიტანს.

ინტერპრესი

დაჯარიმდნენ მანქანიდან ნაგვის გადაყრის გამო

გარემოს დაბინძურებისათვის ჯარიმების დაწესებიდან დღემდე შეიძინა ათასზე მეტი ადამიანი დაჯარიმდა. ჯარიმებიდან შემოსული თანხის საერთო რაოდენობამ კი 232 660 ლარს გადააჭარბა. ამის შესახებ შსს-ს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით ვიგებთ.

როგორც ინფორმაციიდან ირკვევა, ორ კილოგრამამდე ნარჩენით გარემოს დანაგვიანების გამო თვეში საშუალოდ 550 ადამიანი დაჯარიმდება. გარემოს განმეორებით დაბინძურების გამო კი 34 ადამიანი დაჯარიმებული. ცნობილია, რომ გარემოს ხელმეორედ დაბინძურებისათვის თავდაპირველი ჯარიმის ოდენობა ორმაგდება.

ორ კილოგრამამდე საყოფაცხოვრებო ნარჩენით გარემოს დანაგვიანება 20 ლარით დაჯარიმდება და ექვსი თვის მონაცემებით, 2911 ადამიანი დაჯარიმდა. შენობიდან ნაგვის გამოყრისათვის 30-ლარიანი ჯარიმა დაწესებული, ამისათვის 37 პირი დაჯარიმდა.

ბა, რომლის გამოც ფიზიკური პირი 100-დან 500 ლარამდე თანხით, იურიდიული პირი კი 500-დან 2000 ლარამდე დაჯარიმდება. ასევე, არც ერთი პირი არ დაჯარიმებულა სამშენებლო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების გამო. აღნიშნული დარღვევისათვის ფიზიკური პირი 100-დან 500 ლარამდე, იურიდიული კი 500-დან 2000 ლარამდე თანხით დაჯარიმდება.



შსს-ს მონაცემებით, კოდექსის ამოქმედებიდან ექვსი თვის განმავლობაში, არცერთი პირი არ დაჯარიმებულა ცხოველის სხეულის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებისათვის, რაც ფიზიკური პირის შემთხვევაში 100-დან 500 ლარამდე თანხით, იურიდიულის შემთხვევაში კი 500-დან 2000 ლარამდე დაჯარიმდება. არ დაფიქსირებულა არც ნარჩენების ტრანსპორტირებისას ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების გამო პირის დაჯარიმების ფაქტი, რისთვისაც ფიზიკური პირი 50-დან 300 ლარამდე, იურიდიული კი 100-დან 800 ლარამდე თანხით დაჯარიმდება.

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ ცვლილებები მიმდინარე წლის 15 იანვარს შევიდა და გარემოს დაბინძურებაზე ჯარიმები და საექციებიც მაქსიმალურად გამაჯობდა.



ასეთი იქნება „პანორამა თბილისი“

საზოგადოების აქტიურობა, თუ კი ის მართლა საზოგადოებრივია, საკუთარი ქალაქის არქიტექტურულ-ურბანული პროცესებისადმი ჩართულობა, უაღრესად საჭიროა და ზოგჯერ ნაყოფიერიც. ამის ნათელი მაგალითია „რადისონ ბლუ“-ფუნქციონირის საბაგირო გზის მშენებლობის შეჩერება. არის სხვა მაგალითებიც. კარგი იქნება, თუ კი საზოგადოების ეს აქტიური წევრები თავის ძალისხმევას მიმართავენ მამადავითისკენ, სადაც, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის. მხედველობაში მაქვს უნიკალური პანორამის „მცოცავი ანექსია“ (დავესესხე პოლიტიკოსებს), გამონვეული სოლოლაკის ფერდობის განაშენიანების საერთოლიანობის გაზრდით. თბილისის სიმბოლო და პოეტების მუზა, მთაწმინდა, მამადავითის თეორი ტაძრით, ლამისაა უსასურ განაშენიანებას შეერწყას. ასეთად აღიქმება ეს უნიკალური პანორამა თბილისის უმნიშვნელოვანესი ხედვის წერტილებიდან.

უკვე რეანიმაციას არ ექვემდებარება XX საუკუნის ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი უთვალსაზიროესი ნაგებობა – სპორტის სასახლე და მთლიანად მოედანი. კუჭისტუმბა, მშენებლობას მიტმასნილმა უვიცმა „ბიზნესმენებმა“, ავტორიტარიზმის წლების მერიის „უანგარო“ მხარდაჭერით, არა თუ მოკლეს მისი სახიერება, არამედ შეუძლებელი გახადეს მისი ფუნქციონირებაც კი!

ანალოგიურ დღეშია პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე ფერდობი, რომელიც შენობის ბუნებრივ, მწვანე პოსტამენტად აღიქმეოდა და მასთან ერთად განაპირობებდა უაღრესად ლაკონურ, სახიერ პანორამას. ბოლო წლებში ფერდობზე გაჩნდა მინაშენები, „მუნუკები“, არქიტექტურაში მიღებული ტერმინით – „პარაზიტები“, რომლებმაც დათრგუნეს შენობა, ჩამოართვეს პირველობა. ბოლო, „საკონტროლო გასროლა“ კი შეასრულა სააკაშვილის ფაქციონტიმა „ჩქარამკვეთებელმა“ არქიტექტორმა იურგენი თეიერმა თავისი „ობობათი“ შენობის მარცხენა მხარეს. მსგავსი, შენებით ნგრევის მაგალითი, უამრავია დედაქალაქში. ქართულ არქიტექტურას ჭილ-ყვავები შეესივნენ.

– აბსოლუტურად გეთანხმებით, ბატონო ვახტანგ, მაგრამ... ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალს თუ ხედავთ?

– მიმდინია, ძალაძის პროკურატურაში უნდა შეიქმნას სპეციალური განყოფილება, რომელიც დააღმინს არქიტექტურულ-ურბანულ დანაშაულებს, რომლებმაც გამოიწვიეს ურბანული ქაოსი. უნდა დადგინდეს რომელი კანონის საფუძველზე ამოიყორა მთელი ძალაქი შენობებით, რატომ ჰქონდა „კარკოს“ უპირატესობა „საზოგადოებრივზე“, როგორ მოხდა ამ პროექტების დამატკიცება. თქვენ უსათუოდ აღმოჩინეთ როგორც ბოლო და მნაშავეს, ასევე პროცესის თანამდევ ნვრილ-ნვრილ თაღლითებს.

ესაუბრა სპარტაკ ძოგულია.

– ამ დღეებში ახალი ძალით „იფეთქა“ „პანორამა თბილისის“ საინალმდეგო აქციამ, ამ გამორჩეულად ეროვნულ საქმეში აქტიურად ჩაერთვნენ არამკითხველ „საერთაშორისო ორგანიზაციები“. 10-ზე მეტმა ორგანიზაციამ წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, თბილისის მერს, სამინისტროებს, უარი თქვან პროექტის განხორციელებაზე, რათა „გადაარჩინონ“ ისტორიული ქალაქი.

რა ხდება? რატომ მოიცალა ამდენმა „საერთაშორისო ორგანიზაციამ“ ასე ერთსულოვნად თბილისში ერთი ობიექტის მშენებლობის გამო? როგორ მოახერხეს მათ პროექტის ისე სრულყოფილად შესწავლა, რომ ასეთი რეკომენდაციების უფლება მისცეს თავს? ხომ არ არის ეს ინსპირირებული თბილისიდან, ხომ არ გვაქვს საქმე „ახალ სახალხო ევროპულ პარტიასთან“ – ნაცების მუდმივ აპეკუნთან?

ამ ძალად თავსმოსხვეულ პრობლემაზე გვესაუბრება გამორჩენილი არქიტექტორი ვახტანგ ლავითია.

– „პანორამა თბილისი“ კარგა ხანია გასცდა არქიტექტურულ-ურბანულ ინტერესებს და პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად იქცა. კონკრეტულად ბატონი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ილაშქრებენ. რაც შეეხება „საერთაშორისო ორგანიზაციების“ ჩართულობას, ეს, რა თქმა უნდა, თბილისიდანაა ინსპირირებული, ჩემი ღრმა რწმენით, „ორგანიზაციები“ არა მხოლოდ „ლაპაზი თვალეებისთვის“ ირჯებიან. საქართველოს გააჩნდა და დღესაც გააჩნია მაღალი სამეცნიერო-საინჟინრო, ინტელექტუალური პოტენციალი. ჩვენ თავად შეგვიძლია სრულყოფილად გადავწყვიტოთ საკუთარი პრობლემები. ყველაფერთან ერთად, ნუ გვავიწყდება, რომ დღეს აღმოჩენები, ცოდნა, გამოცდილება ელვის სისწრაფით ვრცელდება მთელს სამყაროში, ხდება არნახული გათანაბრება. რაც იცის უცხოელმა, ის ვიცით ჩვენც. „უცხოელი სპეციალისტების“ მოღვაწეობა ქართულმა არქიტექტურამ თავის თავზე უკვე იწვია. ვისაც შესვენება ჭირდება, შეუძლია ნაიკითხოს ჩემი „ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია“.

ქართულ არქიტექტურას ჭილ-ყვავები შეესივნენ

„პანორამა თბილისი“ და სხვათა შესახებ

– თქვენ კარგა ხნის წინათ გულწრფელად გამოსატყურობოდა „პანორამა თბილისის“ შესახებ. მაშინდელი შეფასება არც თუ დადებითი იყო. როგორია ამჟამად თქვენი პოზიცია?

– მე ვესწრებოდი „პირველ საზოგადოებრივ განხილვას“ „პოლიდენში“. ეს არ იყო პროექტის პრეზენტაცია, ეს იყო იდეის, განზრახულობის წარდგენა. გვიჩვენეს ვიზუალური მასალა, ვიდეო. მომსენებელმა ჩამოთვალა ობიექტების ნუსხა, რომლებიც უნდა გაშენდეს ოთხ „კომპლექსში“. ისინი ერთმანეთთან საბაგირო გზებით იქნებოდნენ დაკავშირებული. ასეთმა აქტიურმა ჩარევამ ისტორიულ ქსოვილში, ასევე საბაგირო გზების „ქსელმა“ დამსწრეთა, მათ შორის ჩემი, უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ჩანს, ავტორებს არ ჰქონდათ საზოგადოებისთვის ასეთი მასშტაბური პროექტის წარდგენის გამოცდილება. მას შემდეგ, პროგრამაც და პროექტიც დაიხვეწა. პროფესიული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, „სოლოლაკის ბაღები“ ინარჩუნებს რა არსებული გორაკის მასას, კონტურს, იქცევა არქიტექტურულ გორაკად. ტერასების ინტენსიური გამწვანების, ასევე გარემოსთან შესაბამისი ფერით შეიძლება არქიტექტურა შეუმჩნეველიც კი იყოს, უფრო მეტიც, კომპლექსი შეიძლება გარემოსა და არქიტექტურის სიმბიოზის საუკეთესო მაგალითადაც იქცეს. ამის თაობაზე შემიძლია ვიკამათო უცხოელ „ექსპერტებთანაც“ და უცხოპოლანტიელებთანაც. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი ყოფილი ცეკავშირის შენობის ადგილისთვის შექმნილ პროექტზე (ვიცნობ მხოლოდ საგაზეთო ფოტოებით). შეიძლება უკვე რაიმე შეიცვალა. ის არ მომწონს არც მოცულობით, არც არქიტექტურით, უინტერესოა, რაც უმთავრესია, უსამშობლოა. ვფიქრობ, რადიკალურად განსხვავებული მიდგომაა საჭირო კომპოზიციის, მოცულობის, სტილური ორიენტაციის თვალსაზრისით.

– თქვენ კარგა ხნის წინათ გულწრფელად გამოსატყურობოდა „პანორამა თბილისის“ შესახებ. მაშინდელი შეფასება არც თუ დადებითი იყო. როგორია ამჟამად თქვენი პოზიცია?

– მე ვესწრებოდი „პირველ საზოგადოებრივ განხილვას“ „პოლიდენში“. ეს არ იყო პროექტის პრეზენტაცია, ეს იყო იდეის, განზრახულობის წარდგენა. გვიჩვენეს ვიზუალური მასალა, ვიდეო. მომსენებელმა ჩამოთვალა ობიექტების ნუსხა, რომლებიც უნდა გაშენდეს ოთხ „კომპლექსში“. ისინი ერთმანეთთან საბაგირო გზებით იქნებოდნენ დაკავშირებული. ასეთმა აქტიურმა ჩარევამ ისტორიულ ქსოვილში, ასევე საბაგირო გზების „ქსელმა“ დამსწრეთა, მათ შორის ჩემი, უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ჩანს, ავტორებს არ ჰქონდათ საზოგადოებისთვის ასეთი მასშტაბური პროექტის წარდგენის გამოცდილება. მას შემდეგ, პროგრამაც და პროექტიც დაიხვეწა. პროფესიული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, „სოლოლაკის ბაღები“ ინარჩუნებს რა არსებული გორაკის მასას, კონტურს, იქცევა არქიტექტურულ გორაკად. ტერასების ინტენსიური გამწვანების, ასევე გარემოსთან შესაბამისი ფერით შეიძლება არქიტექტურა შეუმჩნეველიც კი იყოს, უფრო მეტიც, კომპლექსი შეიძლება გარემოსა და არქიტექტურის სიმბიოზის საუკეთესო მაგალითადაც იქცეს. ამის თაობაზე შემიძლია ვიკამათო უცხოელ „ექსპერტებთანაც“ და უცხოპოლანტიელებთანაც. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი ყოფილი ცეკავშირის შენობის ადგილისთვის შექმნილ პროექტზე (ვიცნობ მხოლოდ საგაზეთო ფოტოებით). შეიძლება უკვე რაიმე შეიცვალა. ის არ მომწონს არც მოცულობით, არც არქიტექტურით, უინტერესოა, რაც უმთავრესია, უსამშობლოა. ვფიქრობ, რადიკალურად განსხვავებული მიდგომაა საჭირო კომპოზიციის, მოცულობის, სტილური ორიენტაციის თვალსაზრისით.



მთაწმინდის (სოლოლაკის) ფარდობი.



მეიერის „ობობა“ კრეზიდენტის სასახლის გვირდით.



სახუქარი „შემენილი სამშობლოსთვის“

დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო სკოლის იუნკერი, პუბლიცისტი, პოლონური ლიტერატურის მთარგმნელი ვიტალი უგრეხელიძე, ვისი ნეშტიც ანდერძის თანახმად, დიდი ბრიტანეთიდან თბილისში, 2014 წელს ჩამოასვენეს, ვფიქრობთ, პიროვნულად ჯერ არ გახლავთ სათანადოდ შესწავლილი და დამსახურებისამებრ პატივდებული.

გარდა იმისა, რომ დიდუბის პანთეონში დაკრძალული ვიტალი უგრეხელიძის ბიოგრაფია ჩვენი უახლესი ისტორიის განუყოფელი ნაწილია და ეპოქის ყველაზე მძაფრ თარიღებს უკავშირდება, მან დატოვა მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, საყურადღებო არქივი, ხელნაწერები, რომელიც დამუშავების პროცესშია. ვიმედოვნებთ, დაისტამბება და არამართო ქართველი მკითხველისთვის გახდება მისაწვდომი.

ვიტალი უგრეხელიძის ბიოგრაფიული შტრიხები: დაიბადა 1902 წელს, სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ თბილისის ქართულ სამხედრო იუნკერთა სკოლაში. 1921 წელს ტაბახმელასთან ბრძოლაში დაიჭრა, რის შემდეგაც სამშობლო დატოვა და პოლონეთში გადაიხვეწა. შემდგომი სამხედრო განათლება პოლონეთში მიიღო. მსახურობდა პოლონეთის არმიაში და როგორც თავის ბიოგრაფიულ ჩანაწერებში აღნიშნავს, პოლონეთი მისი მეორე სამშობლო გახდა. ამ ქვეყნისა და ხალხისადმი მადლიერების ნიშნად თარგმნიდა პოლონური ლიტერატურის კლასიკას, რაც ხელნაწერების სახით, მისივე არქივშია დაცული.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას გადავიდა საცხოვრებლად დიდ ბრიტანეთში. დაიღუპა 1983 წელს იქვე დიდ ბრიტანეთში.

ჩვენ ვესაუბრეთ ცნობილ ქართველ სამართალმცოდნეს, ვიტალი უგრეხელიძის ძმისშვილს, მინდია უგრეხელიძეს, რომელმაც ძალიან საინტერესო და საგულისხმო მასალები მოგვაწოდა მისთვის „ძვირფასი და საყვარელი“ ბიძის შესახებ.

ოთხშაბათს, 30 სექტემბერს, დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია მოისმინოს და ნახოს ეს ჩანაწერები საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ არხზე, გადაცემაში „ქართული ალბომი“ (22 სთ. 15 წთზე), რომელიც მომზადდა სტუდიაში „ავტოგრაფი“.

ვიტალი უგრეხელიძის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისეული თარგმანი ადამ მიცკევიჩის ცნობილი პოემისა „პან თადეოზი“.

თარგმანი რამდენიმე წლის წინათ გამოიცა, რომლის ბეჭდური ვერსია გარკვეული შეცდომებისგან არ არის დაზღვეული და ასევე სამწუხაროა, რომ პოემის ქართულ ვარიანტს არ ახლავს მთარგმნელის წინასიტყვაობა. არადა, წიგნის შესავალ ტექსტში ვიტალი უგრეხელიძემ თავისი დამოკიდებულება და მრწამსი ჩამოაყალიბა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ამ წერილის პირველ პუბლიკაციას, რომელიც დაწერილია ლონდონში, ვიტალი უგრეხელიძის ორივე სამშობლოს – საქართველოსა და პოლონეთისგან ძალიან შორს.

მთარგმნელის წინათქმა

მე დავიბადე ძველ, ტრადიციულ ოჯახში დასავლეთ საქართველოში(კოლხეები), მდინარე ფაზისის პირას, რომელიც რიონის სახელწოდებით



თაა ცნობილი. ეს ის მდინარეა, რომელზეც იაზონმა იმოგზაურა არგონავტებთან ერთად ოქროს საწმისის ძიებაში.

ბავშვობიდანვე დავეწაფე ჩემი ქვეყნის ლიტერატურას, ისტორიას და მის უძველეს ლეგენდებს, რამაც ჩამაგონა თავისუფლების სიყვარული და სამშობლოსათვის თავგანწირვის მზაობა.

რუსი მეფეების იმპერია მაშინ დაემხო, როდესაც მე ჯერ კიდევ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლე ვიყავი. ათასობით ახალგაზრდა ქართველი დასწვდა იარაღს, რათა ებრძოლა თავისუფლებისათვის, რომელიც 150 წლის წინათ გამოსტაცეს ხელიდან ჩვენს წინაპრებს. ასე შევიგრძნე თავისუფალი სამშობლოს ბედნიერების სურნელი, მაგრამ ამან დიდხანს როდი გასტანა. არასრული სამი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა კვლავ დაიპყრეს საბჭოთა რუსეთის ურდოებმა.

ქართული სამხედრო სასწავლებლის მოხალისეებმა, რომლებსაც მეც შევეერთდი, ვაუჯაცურად იომეს, მაგრამ ისინი გაანადგურეს უთანასწორო ბრძოლაში. გადარჩენილი ხელქვეითი, სხვა სამხედროებთან და ოფიცრებთან ერთად, თურქეთს შევეხიზნეთ. ათვინი კონსტანტინოპოლის შემდეგ, პოლონეთმა, მარშალ პილსუდსკის თაოსნობით, ჩვენ ბინა, თავშესაფარი და სამუშაო შემოგვთავაზა.

1921 წელს მეც ვიყავი იმ პირველ ქართველ მხედართა შორის, რომლებიც ჩავედით სრულიად უცხო ქვეყანაში, რომლის სახელი ჩემს სამშობლოში თანდათან უფრო იმოსებოდა პატრიოტიზმისა და თავდადების ლეგენდებით. მე ყოველთვის მუშაობდა ქართველობა. მაგრამ პოლონეთის სამხედრო აკადემია რომ დავამთავრე და პოლონურ კავალერიაში გამამწესეს ოფიცრად, მე სიამაყით აღვივსე აგრეთვე იმის შეგნების გამო, რომ გავხდი წვერი პოლონელ „ულანთა სამოსი“, რომლებიც განასახიერებდნენ უღირსეულეს მემკვიდრეებს დიდებული ტრადიციებისა, შეიარაღებული პოლონელი მხედრობისაგან რომ წარმოღვებოდა.

პოლონეთში ცხოვრების 25 წლის მანძილზე მე მოვიარე მთელი ქვეყანა, ბალტიკიდან ზალეს-ჩიკამდე, ოსტროვიდან და ოშმიანიდან – სილუზიამდე.

მე კარგად გავეცანი პოლონელ ხალხს. დიდი ხნის სამხედრო სამსახურის განმავლობაში მე შევხვდი მრავალ მაღალჩინოსან ოფიცერს, რომლებიც განასახიერებდნენ ყველა რაინდულ ღირსებას. ვერ ვპოულობ საკმარის სიტყვებს, რათა შევამუკო ჩემი თანამებრძოლი ოფიცრები, რომელთაც ესოდენი მეგობრობა, სიყვარული და გულითადადობა გამოიჩინეს ჩემდამი. მე ჩამომიყალიბდა სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება პოლონელი გლეხების მიმართ, რომლებმაც ჩემზე მოახდინეს უდიდესი შთაბეჭდილება სამშობლოსადმი თავიანთი თავდადებით, სტუმართმოყვარეობითა და გულდიაობით.

ყოველთვის მინდოდა ჩემი მეორე, შეძენილი სამშობლოსათვის საკადრისი მისაგებელი მიმებლო ყოველივე იმის გამო, რაც იქ გამოვცადე და განვიცადე. პოლონეთში ყოფნისას, ოდეს მე სხვა თანამებრძოლებთან ერთად ვიზიარებდი ემიგრანტის ხვედრს, გამიელვა აზრმა, ქართულად მეთარგმნა ადამ მიცკევიჩის დიდებული თხზულება – ეროვნული პოლონური ეპოსი „პან თადეოზი“, ანუ „მატონი თადეოზი“. თუ ქართველ ექსპერტებს ვენდობოთ, პირველი ცდის პირობაზე „პან თადეოზის“ თარგმანი კარგი გამოვიდა. ამიტომ დიდი სიამოვნებით გადავეცი თარგმანის ხელნაწერი ადამ მიცკევიჩის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის საიუბილეო კომიტეტს იმ მოთხოვნით, რომ შემდგომში იგი გადაეგზავნებოდა კოსტიუპოს ფონდს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ფონდს მე მივაწოდე, აგრეთვე, თარგმანთან დაკავშირებული ყველა ხელნაწერი, რაც კი შემომრჩა.

ვიტალი უგრეხელიძე-უგროსკი, თარიღი აღნიშნული არ არის.


„ღღას ისა მებჟინა ხავსურეთი, როგორც არასდროს“...

სრიდოლის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ნუკრი მჭედლიშვილმა მეგობრებისგან, ხევსური ძმადნაფიცისგან ალუდა დაიაურისგან წერილი მიიღო.

ეს პირადი, ტკივილით სავსე ბარათი, მრავალი საფიქრალის აღმძვრელია და, ალბათ, ღღეს ყველასთვის იქნება საგულისხმო. შინაარსი ეხება ერთ-ერთ შოუს, რომელიც გავიდა 17 სექტემბერს „იმედის“ ეთერში.

„ნუკრი, როგორ ხარ ძმაო, გია ჯაჭანიძის შოუს ვუყურე ახლა. ჩვენი წინაპრების ძეგლები ამტკივდა, ძმაო! ვიფიქრე ეს ტკივილი ვისთვის მიმეწერა და შენ გამახსენდი, იმიტომ, რომ ასე მგონია, შენ ყველაზე კარგად გამოიგებ. საბრძოლო ხელოვნება და სიმბინძურე ერთმანეთში იყო არეული. ან შავფაროსნებმა როგორ მიიღეს ამაში მონაწილეობა? სულში არ უდევთ ეტყობა ვაჟკაცობა, თორემ მაგას არ გააკეთებდნენ! სამასხარაოდ გამიხადეს წინაპრის სალოცავი! მაგ ადგილას კაცები ვერ შევდივართ და ამათ, გარყვნილ ხალხთან ერთად, შოუ-მასკარადი მოაწყვეს ჩვენს ჯვარში? რა ვქნათ, ნუკრი, როგორ გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო?! ხედავ, ხევსურეთშიც მოაღწია უმსგავსობამ. არ ვიცი, სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი?! არ ვიცი, ამ ტკივილს რა დავარქვა?! ასე მგონია, იმამ შამილს არ გაუკეთებია ისეთი რამე, რაც ამათ იკადრეს. სიმბინძურე მიიწევს ჩემი მთებისკენ, ნუკრი! ტირილი მიხდა და რას ვუშველი ტირილით?! რა ვქნათ, ნუკრი, როგორ დავიცვათ ხევსურეთი ამ სიმბინძურისგან?“...

გფიქრობთ, ამ სულისშემძვრელ წერილს კომენტარი არ სჭირდება.



ანონსი

ფრაგმენტი მოგონებებიდან:

„წარმოიშობა ახალგაზრდა ქართველი ვაჟები, საუკეთესოდ ჩაცმულნი ჩოხა-ახალუხში, გამრწყინებული თვალებით და კეთილშობილი სახით, ხიბლავდა გერმანელ-ავსტრიელ გოგოებს და ქალებს, რომელნიც შენობას ნელი ნაბიჯით და სიცილი-ხარხარით გარს უვლიდნენ, რათა ქართველი ვაჟების ყურადღება მიექციათ და მასან ერთად სეინრობა თუ სხვა რამისთვის კავშირი გაეზათ.“

ერთ ღღეს, გუნდის მეცადინეობის წინ **დათაშა კავსაძემ** განაცხადა: – მე ვხედავ, თუ როგორ უკან დაგდევდნენ ავსტრიელი გოგოები და ქალები, რომელთა ქმრები ჯარში არიან გაწვეულნი. იბრძვიან და ფიქრობენ თუ როდის დაუბრუნდებიან თავის სახლ-კარს და თავის ცოლ-შვილს. ჩვენ, ქართველ მამაკაცებს, თავდატერა გვმართებს. ნუ გამოვიყენებთ ქალის გრძნობების სისუსტეს, ნუ დაიჭერთ კავშირს მათთან. ჩვენი ცოლებიც ხომ გველოდებიან სახლში და რა სიმწარე იქნება ჩვენთვის, თუ ჩვენი ცოლები გვიღალატებენ!..“

ემიგრანტ ნიკოლოზ ჯანელიძის საგულისხმო მოგონებებს ცნობილი ლოტბარის, ტყვედ ყოფილ დათაშა კავსაძის შესახებ, რომელმაც გერმანელ ტყვეთა ბანაკში ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი ჩამოაყალიბა, „კვირადღის საკითხავის“ შემდეგ ნომერში გაგაცნობთ.



კულტურის აზვავი

ლიტერატურა, მუსიკა და კულტურული მემკვიდრეობა

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ორგანიზებით, გაიხსნება ICOM-ICLM-ის (ლიტერატურის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი) საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ლიტერატურა, მუსიკა და კულტურული მემკვიდრეობა“.

საერთაშორისო კონფერენციის თემატიკა ფოკუსირებულია თანამედროვე მუზეუმების საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მიზნად ისახავს საქართველოს მუზეუმებში ქმედითი რეფორმის განხორციელების ხელშეწყობას საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მუზეუმების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლას და მათ ინტეგრირებას მსოფლიო სამუზეუმო სივრცეში.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 60-ზე მეტი უცხოელი ექსპერტი და ქართველი სპეციალისტი.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის მე-7 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი იხსნება. სამეფო უზნის თეატრში წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „გილგამეში“, ხოლო კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მაყურებელმა სპექტაკლ „ქალაქს“ იხილავს.

კომპოზიტორ ტომას კრუიჟანოვსკის მიუზიკლი „გილგამეში“, რომელიც პოლონურმა თეატრმა „ქორეამ“ წარმოადგინა, უძველესი ეპოსის ორიგინალური, მუსიკალური ვერსიაა. ეს არის ეპიკური პოემის – „გილგამეშის“ მიხედვით შექმნილი პირველი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შთაგონებულია მიფიწყებული აქადურის ენის ხმოვანებით და ძველი შუმერების იდუმალეზით მოცული კულტურით. წარმოდგენის მსვლელობისას მაყურებელი ისმენს ლეგენდარული მეფის — გილგამეშის ამბავს, რომელიც ცდილობს ამოიცნოს უკვდავების საიდუმლო. ნაწარმოებში თანამედროვე მუსიკის ელემენტები ერწყმის ახლო და შორეული აღმოსავლეთის მუსიკალურ ტრადიციებს.

რეჟისორ ამიტ ულმანის სპექტაკლი „ქალაქი“ პირველი ეზრათული მიუზიკლია, რომელშიც ეზრათული რეჟ მუსიკაა გამოყენებული. სპექტაკლი დეტექტივ ჯოს ამბავს მოგვითხრობს, რომელსაც სარა ბენეტი დაიჭირა თავისი დაკარგული დის მოსაძებნად. მიუხედავად კრიტიკოსთა რადიკალურად განსხვავებული შეფასებებისა, ეს არის უწყვეტი მუსიკალური რბოლა სცენაზე, რომელიც მუსიკალურად ვიქტორ ჯონსონის ანსამბლმა შექმნა.

ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო სოფრია, კახა შორიძე და თაა შონია

© რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისში ღაპობან რუსეთთან ურთიერთობების შესახებ

თბილისში, საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის რეზიდენციის მახლობლად, 24 სექტემბერს 2 აქცია გაიმართა. ერთი, სანქციონირებული, ორგანიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ევროპული არჩევანის“ მიერ – რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის მხარდაჭერისა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის წინააღმდეგ. მეორე იყო კონტრაქტია, რომლის მონაწილეებიც პროტესტს აცხადებენ „გამყიდველების“ წინააღმდეგ, რომლებიც რუსულ ოკუპაციას უჭერენ მხარს.

„ჩვენი მთავარი მიზანია, რომ საქართველო გახდეს ნეიტრალური სახელმწიფო, რომ გამოაცხადოს სამხედრო ნეიტრალიტეტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იყოს არც რუსეთის, არც ნატოს, არც სხვა ქვეყნების სამხედრო ბაზები და სამხედრო-სასწავლო ცენტრები. ჩვენი მთავარი ამოცანაა ასევე – მოვანერგოთ დიპლომატიური ურთიერთობანი რუსეთთან, რათა შემდეგ დიპლომატიური გზებით მოხდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაცია“ – განაცხადა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „ერეკლე მერის“ საზოგადოების თავმჯდომარე არჩილ ჭყონიძემ.

მისმა ოპონენტებმა, რომლებიც არ მიუშვეს „ევრაზიელსთან“ პოლიციამ, თავის მხრივ განაცხადეს, რომ მათი შეკრების მიზანი იყო პროტესტის გამოხატვა „საპროტესტო პროორუსული და კოლაბორაციონული პოლიტიკის“ წინააღმდეგ, რომელსაც თითქოს ამჟამინდელი ხელისუფლება აწარმოებს.

ადრე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ასევე გაგვაცხადებდა საქართველოში რუსული პროპაგანდის გაძლიერების შესახებ. მისი სიტყვებით, იმ სიტუაციაში, როდესაც ნატოსა და ევროკავშირში წევრობის პერსპექტივა საქართველოსთვის ახლო პერსპექტივას არ წარმოადგენს, მოსკოვი ცდილობს პროპაგანდის დახმარებით შეცვალოს საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი.

„ნეპატიური შედეგების ერთობლიობა“

ამცინიბი თბილისში გაიმართა მეორე დღეს მას შემდეგ, რაც რუსეთის ნატოსთან მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრ გრუშკომ განაცხადა „შესაძლო ნეპატიური შედეგების“ შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ნატოში საქართველოს შესვლასთან. შეგახსენებთ, რომ გაისად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვარშავის სამიტზე თბილისს იმედი აქვს მიიღოს წევრობის მოქმედებათა გეგმა – ესაა ნატოს ოფიციალური პროგრამა ალიანსში ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით. მასში მონაწილეობა მიზნად ისახავს დახმარების ქვეყანას – მოემზადოს შესვლისთვის, თუმცა, ამის გარანტია იგი არ იძლევა.

რუსეთის ლიდერები არაერთგზის გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქართველოსთან თანამშრომლობის გამო. მოსკოვმა განსაკუთრებით გამაცხრა რიტორიკა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა საქართველოში ნატოს სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის გახსნის შესახებ. გაიხსნა როგორც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, „საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინსტრუმენტების გაჩენა გაზრდის დაძაბულობის გრადუსს“.

მაგრამ ნატოს წარმომადგენლები არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ „არანაირი მესამე მხარეს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს იმაზე, გახსნის თუ არა ნა-

ტო ცენტრს პარტნიორ ქვეყანაში“. შედეგად, ზომების ახალი პაკეტის ფარგლებში გაძლიერდა თანამშრომლობა საქართველოსა და ნატოს შორის, გაიხსნა ნატოს სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი საქართველოში აგვისტოში. იგი მიზნად ისახავს ალიანსის წევრი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე პარტნიორი ქვეყნისა და საქართველოს სამხედროების სწავლებას. საქართველოში მმართველი კოალიცია აცხადებს, რომ განზრახული აქვს შეცვალოს საგარეოპოლიტიკური ვექტორი, მაგრამ, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პარალელურად, სურს აწარმოოს დიალოგი რუსეთთან თუნდაც ჰუმანიტარული და ეკონომიკური ურთიერთობის ნორმალური ხარისხის მიზნით.

ოპოზიციის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ საქართველოს ნატოსთან მიერთების შესახებ არ გააჩნია

„ბერძნული პრეკლუდი“

პრორუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გარდა, ნატოს მონაწილეობის არიან საქართველოს პოლიტიკოსებს შორისაც. თუ მმართველ კოალიციაში, განცხადებები, რომლებიც საქართველოს ალიანსში წევრობის წინააღმდეგნი არიან, გააკეთა მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკოსმა, ოპოზიციის რიგებში არის პარტიები, რომლებიც ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის წინააღმდეგ მიდიან. მათ შორის ყველაზე მეტი მხარდაჭერით სარგებლობს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ და მისი ლიდერი, ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე.

„ჩვენ საქართველოში უნდა გავიგოთ, რომ არ შეიძლება ავტომატურად უშიშროება საკუთარ ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს უშიშროების ხარჯზე. ვინაიდან ამას ახლავს უარყოფითი მხარეები. და სანამ ამას ჩვენ ვერ გავიგებთ, ჩვენთან ყოველთვის იქნება უზარმაზარი თავის ტკივილი... მე თავადაც ვიყავი იმის მომხრე, რომ საქართველო ყოფილიყო ნატოს წევრი, მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც სრულიად სხვა ურთიერთობანი გვქონდა რუსეთის ფედერაციასთან და დასავლეთთან. ახლა, მოდით ვთქვათ რეალურად საქართველოს არ გააჩნია შანსები გახდეს ნატოს წევრი“ – განაცხადა 24 სექტემბერს ბურჯანაძემ, რომელიც იმყოფება პეტერბურგში, სადაც მონაწილეობას ღებულობს ქალთა ევრაზიულ ფორუმში. ადრე, რუსეთში თავის ვიზიტის დროს, ბურჯანაძე მიიღო ვლადიმერ პუტინმა, ამჯერად იგი შეხვდა ფედერაციის საბჭოს სპიკერს ვალენტინა მატვიენკოს.

შეხვედრის შემდეგ მატვიენკომ შეაქო ბურჯანაძე, მას უწოდა „ადამიანი, რომელსაც აქვს კონსტრუქციული ურთიერთობანი“ და განაცხადა, რომ ურთიერთობანი რუსეთსა და საქართველოს შორის გაფუჭდა არა რუსეთის ფედერაციის მიერ და რომ რუსეთში მტკიცებულად განიცდიდნენ, როდესაც საქართველომ შემოიღო „რუსოფობული პოლიტიკა“. როგორც ჩანს, მას მხედველობაში ჰქონდა პერიოდში 2008 წლის შემდეგ, როდესაც ბურჯანაძე სააკაშვილის ოპოზიციაში გადავიდა.

„ეს არის გარკვეული პრეკლუდა იმისათვის, რომ არჩევნების შემდეგ, როდესაც მივაღწეოთ პარლამენტში, უკვე დავიწყეთ იმ ძვრების ამოქმედება, რომლებიც აუცილებელია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისათვის“ – განუცხადა, თავის მხრივ, ბურჯანაძემ ჟურნალისტებს მატვიენკოსთან შეხვედრის კომენტარებისას.

დედამიწის ზურგზე



აფხ-ს სამხედრო სარდლობა ჯარების აწვინებით განაგრძობს ახალ გეგმას აფხაზეთს
როგორც იტყობინებიან, ავღანეთში უშიშროებისათვის ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების სარდალმა ჯონ კემპბელმა პენტაგონისა და ნატოს წარმომადგენლებს გაუგზავნა რეკომენდაცია ავღანეთში შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნასთან დაკავშირებით. ჩინოვნიკების აზრით, ჯარების რიცხვის შემცირება ავღანეთში მიგვიყვანს ბოვიკების გაყვლის გაძლიერებასთან.

რუსეთში, ირანში და სირიაში ბაღდადში შექმნის სხვადასხვა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ საბრძოლველად შიიტების მიზიდვისათვის

დასავლეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, ცენტრის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ რუსი სამხედრო ხელმძღვანელები არც თუ მაღალი რანგით. ამ დროს, მონაწილეობენ თუ არა უჯრედის მუშაობაში თავად ერაყის მთავრობის წარმომადგენლები, ჯერჯერობით უცნობია.



რუსეთის განზრახვა სირიაში სხალი არაბო, განახლება პანკაპონის მეთაურება

გმტონ კარტირმა რუსეთის სირიაში სამხედრო ყოფნის გაძლიერებას გაუკეთა კომენტარი. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ექნებათ თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს ამ რეგიონში ურთიერთმოქმედების წერტილები, აღნიშნა, მან თავის პირველ კომენტარში ამ თემასთან დაკავშირებით. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელმა გამოთქვა აზრი, რომ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლა განუყოფელია ბაშარ ასადის რეჟიმის შეცვლის სურვილის ძიებისათვის.

სახელმწიფოებრივი ყიჩიის რუსეთის ფინანსური შედეგების რატიონის გამო უკანონო საპროტესტო ნიშნით მიმართა ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს

როგორც დოკუმენტშია საუბარი, პროტესტი შეტანილია იმასთან დაკავშირებით, რომ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებში, რომლებიც ყაზახეთის გამომცემლობამ გამოსცა, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა მითითებულია, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტი. გამოირკვა, რომ „ყაზახეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილი ღრმად არის ინფიცირებული რუსული პროპაგანდით“, განაცხადეს უკრაინის საელჩოში.

ფილადელფიის ლუდის მხარდებულება მოსკოვის „მეინაჟი“ 9.75 პროცენტის სიმბარით, რომის პაპის მიზიდვის დაქვემდებარებით

ლუდ Holy Wooder რეკლამა გვირდება გაიწინდით სული და მსმელი დავაფნოთ ჭეშმარიტების გზაზე. რეკლამა, როგორც ჩანს, სარწმუნო აღმოჩნდა – ადგილობრივმა კათოლიკურმა სემინარიამ რომელიც პაპ ფრანცისკეს ღებულობს ფილადელფიაში მისი ვიზიტის დროს, უარი არ თქვა კმაყოფილებაზე – შეეკეთა სადღესასწაულო სასმელის პატარა კასრი.



ლექსი - იარიზუა!

გურამ ჭავჭავანიძე

თურმე რამდენი გვეყვარება გველი, არამზადა და ფლიდი!...

როგორ მიყვარდა

როგორ მიყვარდა ყველა ქართველი, ყველას მოყვასად ვთვლიდი, თურმე რამდენი გვეყვარება გველი, არამზადა და ფლიდი.

ნეტა ვიცოდე როდესაც ბოლოს, განკითხვის უამრებო მოვამ, სად შეაფარებდნენ თავს, რომელ სოფლს, ნადირალების ხროვამ.

თუ ქართველი ხარ, როგორ მოინდოვებ უცხო სადავე? თუ ქართველი ხარ, არავითარი მამასადავე!

ენა მიინც ჩაიწყვიტეთ!

(პენსიონერის გულისწყრომა)

ათი ლარის წამატება? შუბლის ძარღვიც გაიწყვიტეთ? ამას ქვია წარმატება? ენა მიინც ჩაიწყვიტეთ!

სამთოელი მკვლელები

ვარ სამთოელი მკვლელები, ყურს ვუგდებ მათა გულგებლად, ამ ოღონოზოლოდ ხმელეთზე, როგორ გაეძღვებდი ულექსოდ.

ჩემი მთა მიინც ჩემია, არ გავეცვლი სხვისა ველზე, მთა ჩვენი გადამჩვენია, ვარ მთის მებოტე, მელექსე.

მთაო, სულდიდო, მაღალო, უთქმელო, უერთგულესო, დედის გულივით ალალო, როგორ დაგტოვე ულექსოდ.

დედა ხომ ჩვენთვის ღმერთია, შეუცვლელ-შეუსადარი, სამშობლოც ჩვენი ერთია, სხვა საქართველო სად არი?

მეც, სამთოელი მკვლელები, მთას ვემდებ ქედმოუხრელსო, ნურცა მივლია ხმელეთზე, უსიმღეროდ და ულექსოდ!

თქვენი ბაკაბილი,

(ანუ სპეციალური სარკი)

თათქვანიძე თქვენი გაცვეთილია, რომ როგორმე ჩაიხედოთ სარკეში, თქვენ კი მზად ხართ ისევე მოჰკლათ ილია, სიმართლე რომ მოგახალათ სახეში.

თვალს აველვებთ მტაცებლური შუქითა, მომხედურს გაგხართ, ქართველებზე დაგვიძლით, გიჭირთ, მაგრამ გადარჩენაც თუ გინდათ, ერთხელ მაინც ჩაიხედეთ სარკეში.

რას მოვსნარი

რას მოვსნარი ამას, ლამის გამისკდეს გული, შვილი უკვდება მამას, რადგან არა აქვს ფული.

ვაი, რომ არ ჩანს შველა, როცა არა გაქვს ფული, შემირცხვენისხანთ ყველა, ვისაც არა გაქვთ გული.

ასეთი იმ დროს არა ხდებოდა, ხალხი შიმშილით არა კვდებოდა,

შემირცხვენია თავისუფლება, როცა სიცოცხლის არ გაქვს უფლება.

კვლავ სიღუბენი, კვლავ ცრემლის ღვარი,

გადაიღალა ხალხი ლოდინში, გაუფასურდა ვით ჩვენი ლარი, ყურმოთრეული თქვენი ბოდიში.

სიზნობა გინდოდა?

ვისაც უნდოდა ქართველი რომ გამხდარიყო ხიზანი, დაკვარი, ვიყავ მართალი, ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

საქართველოში ქართველი, რომ გამხდარიყო ხიზანი, დღეს ცხადია და ნათელი, ეს იყო თქვენი მიზანი.

ნათო ნათოს ყვირილით, არ ვიქცევით კარგად, და აფხაზეთს პიროქით, უფრო მეტად ვკარგავთ.

„თავს სინანული სჯობია, გოლოჟამი დანახებას“

ქალბატონ თინა ხიდაშელს

„ისნის ცისკარს“ მაგონებ, ქალბატონო თინანო, მაგრამ ისე ნუ იზამ, ბოლოჟამი, რომ ინანო.

ისე იქცევით როგორც ხლისტემი, სხვა ვერა მომიგონია, თქვენს შემხედვარეს, კომუნისტები, ანგელოზები მგონია.

დრო უნდობართა, დრო უმწიფართა, მტერი კი ფლიდი და გაიძვერა, აღარც ცოტენ და აღარც პაატა, კვლავ შადიმანთა ბოროტი მზერა.

უამოდგომა

შემოდგომა, ოქროს როველი, ზურმუხტი და ლაღები, საპატარძლოდ მოსართველი, ემხიანი ქალები.

ნეტავ კარგო შენი პეშვით, ღვინო დამალევიანა, მენე მომკლა შენი ემხით, სული დამალევიანა.

„ღაბრო, თბილისს უპირველი უხიანი ქალები“

ია ლომთათიძეს

ცამ გიწილადა ალმასი, მიწის ვარსკვლავად გაქცია, შენზე კარგი და ლამაზი, არც ვარდი მწამს და არც ია.

ვინც მართოდ ყოფნა გაცალოს, იქნება საპატივში? რაც კია შენ გენაცვალოს, ყველა ვარდი და იემი.

მეგონა

მეგონა, რომ გული ბოლომდე ჩავრანზე, მეგონა, რომ მდის ვიყავი ურჩი, მე ყაჩაღებმაც კი ვერ მომკლეს არაგვზე, მაგრამ შენ სიყვარულს ვერ გადაუწი.

კითხვა-პასუხი



საქართველოს „ქალები გვეყვარება“ და სოციალისტური „ქვემოქმედებას აბრძობენ“

თითქმის სული წელიწადია, რაც საერთაშორისო ასოციაცია „საბჭოთაქვემოქმედებას“ და სოციალისტური „ქვემოქმედებას“ ბევრ მნიშვნელოვან პროექტს ასორციელებს. მათ შორის ერთ-ერთია საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინვალიდის ეტლების უფასოდ გადაცემა. როგორც სტანდარტული, ისე აქტიური (ვევლანაშვილი) ეტლებს ასოციაციას ამერიკული დონორი ორგანიზაცია ყოველწლიურად აწვდის. ამ წლების განმავლობაში თბილისსა და რეგიონებში 1400-ზე მეტმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მიიღო ეტლი.

აბჰისტროში ასოციაციის წევრები ინვალიდთა ეტლის დასარიგებლად შიდა ქართლს ეწვივნენ. „საქართველოს ქალები“ მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კობახიძე, ორგანიზაციის მდივანი ქეთევან გოგელია და სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი რუსუდან ხაბურზანია გორის მუნიციპალიტეტის შენობაში შეხვდნენ გორის რაიონის სოფლებიდან ჩამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათი ოჯახის წევრებს. ამ ადამიანების შესახებ მონაცემები წინასწარ შეაგროვეს „გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის“ წარმომადგენლებმა ზვიად ზვიადაძემ და თინა ბრეგვაძემ. ასოციაციის ხელმძღვანელის მაია კვეზერელი-კობახიძის თქმით: „შიდა ქართლის რეგიონში ჩვენი ორგანიზაციისგან ადრეც მიიღო ეტლები, სულ 70 ათასი ლარის ღირებულების. ამჯერად კი 41 ეტლი გადავცით (6 – სტანდარტული, 35 – აქტიური). გორის მერმა ზურაბ ჯორჯევილი გვიღებდა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა: გორის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე პაპუნა კობერიძემ, მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელმა დავით ჩინბაძემ, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლია ჩლაიძემ და გამგეობის სხვა თანამშრომლებმა, ჩვენი ასოციაციის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნანა

კობერიძემ შუშ პირებთან ერთად დიდი მადლიერება გამოხატეს ჩვენს მიმართ. ჩვენ კი, ბუნებრივია, გვანარებს ის, რომ სიკეთეს ვაკეთებთ და შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს ცხოვრებას ვუადვილებთ.“

რამდენიმე დღის წინათ ასოციაცია „საქართველოს ქალები“ მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ იმერეთში, კერძოდ ხარაგაულში მცხოვრები შუშ-ის ბუდეში დაინტერესდა. ორგანიზაციას მუნიციპალიტეტის გამგეობამ ყველა იმ პირთა საბუთები მიანოდა, ვისაც ინვალიდთა ეტლი სჭირდებოდათ. მსგავსი დახმარება ამ ორგანიზაციისგან ხარაგაულის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ადრეც მიუღიათ. ასოციაციის წევრებმა მაია კვეზერელი-კობახიძე, ქეთევან გოგელია და რუსუდან ხაბურზანია რამდენიმე პირს ეტლები შინ მიუტანეს. ამჯერადაც უკიდურესი გაჭირვება დახვდათ სოფლებში, რომლებსაც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან ერთად ეწვივნენ.

აქციაში მონაწილეობდნენ ხარაგაულის გამგებელი კობა ლომთაძის შვილი, გამგებლის მოადგილე თემურ ჩხეიძე, მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი ეკა შავიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მანანა ბარბაქაძე, ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იზა ვეფხვაძე. ბევრ ოჯახს მტკივნეული პრობლემები აქვს. ყველაზე მეტი პრობლემა სოციალურად დაუცველთათვის სარეიტინგო ქულების მიინაჩებას უკავშირდება, ზოგიერთს დახმარება შეუჭერდა, განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ოჯახებისთვის ჩველი ბავშვების ხელოვნური კვება და ა. შ.

მაია კვეზერელი-კობახიძე დაჰპირდა მოსახლეობას, რომ ყველა ამ საკითხს ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სამინისტრომდე მიიტანს. სოლო შეჭირვებულ ოჯახებს აღუთქვია, რომ სულ მალე მათ ჩვილებს ბავშვთა კვება „პუმანას“ პროგრამაში ჩასვამს და ამ გზით ოჯახებს მთავარ პრობლემას მოუხსნის.

თინა მოსია



კარატი

„კავკასიის თასი 2015“-ს თბილისი უმასპინძლებს



გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კარატეს საერთაშორისო ტურნირის – „კავკასიის თასი 2015“-ის პრესკონფერენცია გაიმართა. ურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხერიკაშვილმა, მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძემ, სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ, კარატეს ნაკრების მწვრთნელებმა და სპორტის მენეჯერებმა.

საქართველოს ღია საერთაშორისო ტურნირი: „კავკასიის თასი – 2015“ კარატეში. მონაწილეობენ: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის, საბერძნეთის და ისრაელის ეროვნული ნაკრებები (დასაწყისი 11:00 სთ. – შესარჩევი ორთაბრძოლები. 16:00 სთ. – საზეიმო გახსნა და ფინალური ორთაბრძოლები. მის: ბელიაშვილის ქ.35 „ძიუდოს აკადემია“). საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი“, ტრადიციულად 1998 წლიდან იმართება და მასში კავკასიის რეგიონის ქვეყნები

მონაწილეობდნენ, თუმცა, აღნიშნულ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებაში ასპარეზობის სურვილი სხვა ქვეყნებმაც გამოთქვეს და უკვე მე-3 წელია, რაც მონაწილეთა შემადგენლობა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

შეჯიბრება, რომელიც კონტაქტური კარატეს საერთაშორისო წესებით ტარდება, აფხაზეთში და აღუშულ გმირთა სსონას ეძღვნება (შეჯიბრება ტარდება კაცებში სამწონით კატეგორიაში: 70კგ; 80კგ; +80კგ; ხოლო ქალებში აბსოლუტურ წონით კატეგორიებში). შეჯიბრებას დაესწებიან მსოფლიოს და ევროპის კარატეს ორგანიზაციის საერთაშორისო ექსპერტები, ევროპის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე, ფედერაციების პრეზიდენტები.

ევროპის კარატეს ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ, 2014 წლის 30 მაისს ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 2016 წლის 13-14 მაისს, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი თბილისი, კონტაქტურ კარატეში ევროპის ჩემპიონატს პირველად უმასპინძლებს. თბილისმა კენჭისყრაში დანიის დედაქალაქი კოპენჰაგენს აჯობა.

ფეხბურთი



„გურიას“ ბაღრი კვარაცხელია გაუქვება

ლანჩხუთის „გურიას“ მთავარ მწვრთნელად კლუბის ხელმძღვანელობამ კახი გოგიჩაიშვილის ნაცვლად ბაღრი კვარაცხელია დანიშნა. გოგიჩაიშვილი გუნდიდან რამდენიმე დღის წინ არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო დაითხოვეს. კვარაცხელია ლანჩხუთში დანიშნამდე „ცხინვალის“ დუბლ შემადგენლობის მთავარ მწვრთნელად მუშაობდა.

ოლიმპიკა ბრაზილიის ნაკრებს დაუბრუნდა

ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს ვეტერანი თავდამსხმელი რიკარდო ოლივეირა დაუბრუნდა. კარლოს დუნგამ „სელესაოში“ ტრავმირებული რობერტო ფირმინიოს ნაცვლად სწორედ „სანტოსის“ 35 წლის ფორვარდს უწმო. ოლივეირას აქამდე ნაკრებში ნ-ჯერ უთამაშია და ერთი გოლიც გაუტანია. ამჯერად კი „ბეტისისა“ და „მილანის“ ექსფორვარდს ჩილესა და ვენესუელას ნაკრებებთან თამაშის შესაძლებლობა ექნება.



პატომ არაფერი დაკარგა „მანჩესტერში“ გაღასვლით, პირიქით „სან პაულუს“ ისტორიაში შევიდა

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა პატომ, რომელიც ამჟამად „სან პაულუს“ რიგებში თამაშობს, კლუბის ისტორიაში მე-3 000 გოლი გაიტანა. „მილანის“ ექს ფორვარდმა „ვასკო და გამასთან“ (3:0) დუბლი შეასრულა. „არ შემოძლია, ბედნიერი არ ვიყო გუნდის ისტორიაში შესვლის გამო, თანაც ეს „მოურმბოზე“ მოხდა“, – დაწერა პატომ ინსტაგრამზე. ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა შემძლო, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილებით აქ დავრჩი“, – აღნიშნა ბრაზილიელმა.

კალათბურთი

ქართული „ბრილიანტი“ იტალიურ კლუბში გაიბრწყინებს



იტალიურმა კლუბმა „კაპო დორლანდომ“, რომელმაც მცირე ხნის წინ კონტრაქტი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრ ნიკა მეტრეველს გაუფორმა, კიდევ 1 ქართველი კალათბურთელი აიყვანა. იგი 17 წლის მცველი ლევან ბაბილოძე (სიმაღლე 196 სმ.) გახლავთ, რომელმაც გასული სეზონი „ტიგულიოში“ გაატარა, ახლა კი, მასზე უფლებები სერია ა-ს კლუბმა გამოისყიდა. აღსანიშნავია, რომ „კაპო დორლანდოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე ბათუმელი კალათბურთელი „ბრილიანტადა“ მოხსენიებული და ისიც ნათქვამია, რომ ის 18-წლამდელოთა გუნდში ითამაშებს, თუმცა, ძირითად გუნდთან ვარჯიშიც სშირად მოუწევს.

ჩოგბურთი

ქართული წყვილი ფინალში ითამაშებს

სოფო შაფათაშასა და ეკატერინე ბორბოქის წყვილს, რომელიც უკრაინულ ბუნაში მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე პირველ ნომრად გათვსილი, ტიტულამდე ერთი ნაბიჯი აშორებს. ქართველი ჩოგბურთელები ნახევარფინალში რუს ანგელინა გაბუევას და უკრაინელ ელიზავეტა იანჩუკს გაეჯიბრნენ და იოლად – 6:3, 6:1 მოიგეს. ფინალში სოფო და ეკატერინე მე-2 რეიტინგის მქონე უკრაინულ დუეტს გაეჯიბრებიან ოღა იანჩუკის და ანასტასია ვასილიევას შემადგენლობით. საინტერესოა, რომ გასულ კვირებში შაფათაშა წყვილში სწორედ ვასილიევასთან ერთად თამაშობდა და ბულგარეთში, ჯერ სოფიას, შემდეგ კი, დობრიჩის 25-ათასიანი ტურნირები მოიგო.



ინტერნეტიდან

მექსიკური წიგნაკასავით მწველი დანიელა ჩავესი

მექსიკური წიგნაკა არ წვავს პირსა და გულ-მუცელს ისეთი სიმსურვალით, როგორც მექსიკელი მოდელი, დანიელა ჩავესი წვავს მამაკაცთა გულებსა და ჯიგარს. ამას ისიც ემატება, რომ დანიელა თოფის ლულასავით მუდამ „გასროლისთვისაა“ მომართული და მზადაა ცხოვრების ყოველი წუთი ამბიქვეყნიური სიამოვნებისათვის გამოიყენოს. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნობის ამბავში დანიელას ყველაფერი თავის ადგილზე აქვს, უნაკლო როგორც ყველა ჩვენგანი – ისიც არაა და მისი უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ ენა სშირად წინ უსწრებს და ისეთ რამეებს წამოაყრანტალებს, რის გამოც შემდეგ ბოდიშების მოხდა უწევს ხოლმე. ამასწინათ, დანიელა ჩავესმა განაცხადა, პორტუგალიელი ფეხბურთელის კრიშტიანუ რონალდუს სარეცელში ვიბუდრავე და ეს ამბავი ისეთი კარგი იყო, მუხლებში ძალა გამოიმელიაო. მაგრამ, გავიდა დრო, კრიშტიანუმ ეს ამბავი ჭორად გამოაცხადა და დანიელაც იძულებული გახდა ეთქვა, ყველაფერი ხუმრობა იყო. არადა, როგორც ძველი ქართული გამოთქმა ლაღადებს, ხუმრობა ხუმრობაში პატარძალიც დაორსულდაო...



მრავალმხრივი კონცეფცია

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს 22 სექტემბერს დემოგრაფიულ პუნქტზე შეხვედრა, სადაც დემოგრაფიული უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე გადაწყდა დაუყოვნებლივ შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში არსებული მიმდინარე რაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. როგორც აფასებენ დემოგრაფიულ ვითარებას და სადა ხედვენ ისინი ამ პრობლემის გადაჭრის გზას?

შობადობის გაზრდა, სიკვდილიანობისა და მიგრაციის შემცირება, სოფლებში მოსახლეობის დაბრუნება, უმუშევრობის დაძლევა, ჯანდაცვისა და განათლების ხელშეწყობა — ეს ის ფაქტორებია, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყანაში დემოგრაფიულ მდგომარეობას და ის პრობლემებია, რომელთა მოგვარებასაც შეეცდება 22 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შეკრებილი სამუშაო ჯგუფი. კომიტეტის თავმჯდომარე დემიტრი ხუნდაძე დემოგრაფიულ მდგომარეობას აფასებს შემდეგნაირად: „გორც ის განმარტავს, ჯგუფი იწყებს მუშაობას დოკუმენტზე, რომელიც ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. როგორც დემიტრი ხუნდაძე ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, შობადობის გაზრდის მიზნით, იმ რეგიონებში, სადაც შობადობა შემცირებულია, გარკვეული დახმარება დაენიშნა ოჯახებს, მხოლოდ ეს ინიციატივა საკმარისი არ აღმოჩნდა და პრობლემის მოსაგვარებლად გაცილებით კომპლექსური ღონისძიებების გატარება საჭიროა: „დოკუმენტის კონცეფცია იქნება მრავალმხრივი. აქ იქნება გათვალისწინებული როგორც სოციალური პროგრამები, ისე ჯანდაცვითი პროგრამები. ასევე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მიგრაციული პროცესების შემცირებაზე. ვიზრუნოთ იმაზე, რომ მთიან რეგიონებს, სოფლებს დაუბრუნდეს მოსახლეობა. გათვალისწინებული იქნება სპორტული აქტივობები, ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება. აქ არ იქნება გათვალისწინებული მხოლოდ სოციალური თემა-

ტიკა, ეს იქნება მრავალმხრივი დოკუმენტი. ამიტომ საჭიროა სახელმწიფო დოკუმენტის შემუშავება და არა რომელიმე ერთი პროგრამის განხორციელება“, — ამბობს დემიტრი ხუნდაძე.

თუკი უფრო დეტალურად შევიჩრდებით დღეს საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებაზე, მაშინ უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ექვს რეგიონში სიკვდილიანობის მაჩვენებელი ჭარბობს შობადობას. ეს რეგიონებია: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია,

რის მონაცემებით, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს 31 000 ადამიანი და ისიც ძირითადად მოსულები. დამატებით, რომ ეს უკვე ნიშნავს ამ კუთხის გაუკაცრიელებას. ამიტომ აუცილებელია გადაგვიფიქროთ, რა და როგორ უნდა გაკეთდეს“.

დემოგრაფები თანხმდებიან, რომ დოკუმენტი, რომელიც დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრისკენ იქნება მიმართული, დროულად უნდა შეიქმნას, თუმცა, მისი შედეგების ხილვა გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება შესაძლებელი. ვაჟა ლორთქიფანიძის, დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტის, თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დაგვიანებულიც კია ამ საკითხზე ზრუნვა, ის მაინც მიესალმება ხელისუფლების ინიციატივას შეიქმნას დოკუმენტი, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა გადაიქცეს კანონთა სისტემად და რომელიც ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას შეუწყობს ხელს.

„ძალიან მწვავე“ — ასე აფასებს ის დღეს საქართველოში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას და იმასაც ამბობს, რომ დროის გასვლასთან ერთად სიტუაცია არ იძლევა დამაიმედებელ პროგნოზებს: „ჩვენ ძალიან გვიყვარდა და გვიყვარს ტრახაბი, რომ საქართველოში ბევრი ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობს და აქ ადამიანები დიდხანს ცხოვრობენ, თუმცა, სტატისტიკა სხვა რამეს აჩვენებს. მთელ მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მატულობს და საქართველოში — არა. ამას, რასაკვირველია, სჭირდება ძალიან სერიოზული ანალიზი. დაკვირვება და კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა საჭიროა როგორც სოციალურ პოლიტიკაში, ასევე საოჯახო პოლიტიკაში და, უფრო კონკრეტულად, დემოგრაფიულ პოლიტიკაში“.

როგორც დემიტრი ხუნდაძემ თქვა, შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტზე მუშაობა სწორედ 22 სექტემბერს დაიწყო. ამ პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულნი დარგის ექსპერტები და დემოგრაფები, საბოლოოდ კი, მისი თქმით, შეიქმნება დოკუმენტი, რომელიც რეალურად იქნება გამოყენებული პრობლემის აღმოსაფხვრელად და ის არ დარჩება მხოლოდ თაროზე შემოსადებ დოკუმენტად.

ინეო თარხნიშვილი რადიო „თავისუფლება“

სად გადის დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის გზა?



კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი. განსაკუთრებული პრობლემა შიდა მიგრაცია. მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასულია დედაქალაქში. საყოველთაო აღწერის მონაცემებით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა, 600 ათასზე მეტი ადამიანი უმცირესი მოსახლეობის რაოდენობა. თითქმის 24%-ითაა შემცირებული სოფლის მოსახლეობა. გაეროს მოსახლეობის ფონდის გამოკვლევის მიხედვით კი, რომელიც 2010 წელს ჩატარდა, 2050 წლისთვის საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. მათი მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა, სავარაუდოდ, 28%-ით შემცირდება. ანზორ თოთაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემის კვლევის ცენტრის დირექტორი: „2002 წლის აღწერის მონაცემებით, სამ დიდ რეგიონში — რაჭაში, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ცხოვრობდა 52 000 კაცი. ამჟამად, შარშანდელი აღწე-

სათელი

ტარიელ ქუთათელაძე



ქუთათელაძეების ხელოვანთა დიდ ოჯახს კიდევ ერთი ხელოვანი გამოაკლდა — ბატონი ტარიელ ქუთათელაძე, კაცი, რომელმაც მძიმე ცხოვრების წირვარამი გადაიტანა, მაგრამ ვერაფერმა შეეცვალა, იგი იყო უაღრესად სპეტაკი, მხნე და მოყვასი ადამიანი. ბატონმა ტარიელმა თავისი ბოლო წლები სამხატვრო აკადემიის კედლებში გაატარა, იყო არქიტექტურის კათედრის პროფესორი და თაობებს ზრდიდა. ახალგაზრდებს იგი ძალზედ უყვარდათ, როგორც კეთილმოსურნე პიროვნება. ბატონი ტარიელი იყო საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის კოსი, დამსახურებული არქიტექტორი. მას საქართველოში და, განსაკუთრებით, თბილისში დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა. იყო ქართული ტრადიციული ოჯახის შვილი, მეგობრებისადმი ჭირსა და ღონისში გვერდში მდგომი. იგი იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, მისმა გარდაცვალებამ უზომოდ სინანული დაუტოვა მეგობრებს და მთლიანად თბილისის საზოგადოებას. საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს მისი გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

ბახსენება

კამელ (ბიჭი) ნულია



ორმოცი დღე შესრულდა ბატონი ჰამლეტ ნულიას გარდაცვალებიდან. სსიპ „რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტს“ დააკლდა ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამშრომელი, მანქანათა დინამიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჰამლეტ ნულია. ამ ინსტიტუტში გაატარა მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება 1968 წლიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1971 წლიდან ეწეოდა აქტიურ და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. იგი აკადემიკოს მ. ხინგაას მიერ დაარსებული მანქანათა დინამიკის ქართული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ. ბატონი ჰ. ნულია ათ წელზე მეტი ხელმძღვანელობდა მანქანათა დინამიკის განყოფილებას. მისი სამეცნიერო კვლევების ინტერესს შეადგენდა ერთი და მრავალრეჟიმური რეზონანსული ვიბრაციული მანქანების მდგრადობის კვლევა მათი დინამიკური პარამეტრების საიმედოობის გაზრდის მიზნით. მნიშვნელოვანია კვლევები ჩატარებული „ა-დამიანი-მანქანა“ სისტემაში ოპერატორის ვიბროდაცვის ეფექტური საშუალებების თეორიისა და საანგარიშო მეთოდების დამუშავების კუთხით. მან შეისწავლა ადამიანის კუნთოვანი სისტემის ბიოელექტრულ რხევებზე გარეგანი მექანიკური რხევითი ზემოქმედების საერთო კანონზომიერებები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დაამუშავა ადამიანი-ოპერატორის ვიბროდაცვისა და რეაბილიტაციის მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანის შრომისუნარიანობის ამაღლებასა და დალილობის მოხსნის ტექნიკურ საშუალებებს. აღნიშნული მეთოდები წარმატებით გამოიყენებოდა კოსმონავტების მომზადების ცენტრში ხანგრძლივი ფრენის შემდეგ კოსმონავტთა რეაბილიტაციისათვის. ბატონი ჰ. ნულია ბილო წლებში დიდ ინტერესს იჩენდა ახალ, განსხვავებულ, უცნობ ეფექტებზე მომუშავე დენის გენერატორის მიმართ. დაამუშავა კონსტრუქცია, დაამზადა მისი ფიზიკური მოდელი, მიიღო პატენტი გამოგონებაზე. იგი იყო 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთა შორის ოთხი მონოგრაფიაა.

ჰ. ნულია სამეცნიერო მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1986 წლიდან იყო დოცენტი, ხოლო 1991 წლიდან პროფესორი, კითხულობდა ლექციებს მანქანების დინამიკისა და მათემატიკური მოდელირების საკითხებზე. იყო ღირსეული მამული შვილი, კარგი ოჯახიშვილი, კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა. შესანიშნავი მეცნიერის, სამაგალითო მოქალაქისა და პიროვნების ჰ. ნულიას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების გულში. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივი

მცირე ენციკლოპედია

ჩვენი სისხლი

სისხლის კლინიკური ანალიზით პაციენტს 5-დან 24 პარამეტრი შეიძლება დაუდგინდეს. მის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს სისხლში ჰემოგლობინის ოდენობის, ერითროციტების რიცხვი, მათი დაღვევის სიჩქარე. ამ ანალიზით შესაძლებელია ანთებითი პროცესებისა და ანემიების დადგენა; სისხლს ანალიზზე აბარებენ დილის 7-სა და 9 საათს შორის და ბოლო ჭამიდან სულ მცირე 12 საათის გავლის შემდეგ; ბავშვებს სისხლს ვენიდან მხოლოდ 5 წლის ასაკიდან უღებენ; კაპილარულ სისხლს არაბიოლოგიური ილექტრონიკით, „არამუშაა“. მისი კანი უფრო თხელია, და, შესაბამისად, ნემსით ჩხვლეტა ნაკლებად მტკივნეულია, თანაც, იმის გამო, რომ ის ნაკლებად და დატვირთული, ჭრილობა უფრო მალე ხორცდება; ნარკოტიკებზე სისხლის ანალიზით, მედიკოსებს შეუძლიათ იმის დადგენა, მოიხმარდა თუ არა კაცი ნარკოტიკულ საშუ-

ალებებს ბოლო 3-4 თვის განმავლობაში; სისხლის საერთო კლინიკური ანალიზი 15 წუთში კეთდება; სისხლის ჯგუფებში ყველაზე „ახალგაზრდა“ მე-4, ყველაზე ხანდაზმული კი — პირველი. საგულისხმოა, რომ ევროპელების მიერ ამერიკის კოლონიზაციამდე, არც ერთ იტაურ მკვიდრს მე-3 ჯგუფის სისხლი არ ჰქონია.

თაფლის მასაჟი

ოსტიოპონდროზის დროს დიდი სარგებლის მომტანი თაფლის მასაჟი. კისრისა და ბეჭების არეში ცოტაოდენი თაფლი დაიდეთ და მისი კანში ჩაზილვა დაიწყეთ. მასაჟის ხანგრძლივობა 10-15 წუთი უნდა იყოს, რომლის დასასრულ ზურგზე თეთრი ფაფისმაგვარი მასა უნდა წარმოიქმნას, რომელიც თბილი პირსახოცით უნდა მოცილოთ. პროცედურის გამეორება დღეგამოშვებით შეიძლება, ჩვეულებრივ 3-4 სეანსი საკმარისია.



ილია დარჩია ოჯახით იუნყება, რომ გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პორის დარჩია

პანაშვიდი 27, 28 IX, თბილისში, მის. მცხეთის 8, III სად. ბინა 48. დაკრძალვა 29 IX, ოზურგეთის რ-ნი, სოფ. სილაური. 15 სთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუნყებიან ცნობილი მეცნიერი-ლიტერატორის, ჩვენი გაზეთის მეგობრისა და სასურველი ავტორის

პორის დარჩიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ახლობლებს.

სასკოლო სახელმძღვანელოები
ადგილზე მითანით
ფასნამათის გარეშე
მთელი საქართველოს მასშტაბით!

გამომცემლობა „ინტელექტი“ და
გამომცემლობა „არტანუჯი“

15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე
გთავაზობთ უპრეცედენტო აქციას!




(032) 225 05 22; (032) 291 22 83; 599 56 76 71

სულიერება

ჯვართა მაღლება

27 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულებს ჯვართა მაღლებას, რომელიც 326 წელს აღიმართა.

...დედოფალმა ელენემ მრავალწლიანი ძებნის შემდეგ იპოვა ქრისტეს ჭეშმარიტი ჯვარი. დედოფალმა გადაწყვიტა გამგზავრებულიყო პალესტინაში. იერუსალიმში ჩასულს მოახსენეს, რომ უფლის ჯვარი ვენერას სამსხვერპლოსთან იყო ჩაფლული. გათხრის შემდეგ გამოჩნდა სამი ერთნაირი ჯვარი, რომელთაგან უფლის ჯვრის გამოჩენვა შეუძლებელი იქნებოდა, სასწაული რომ არ მომხდარიყო.



იმჟამად რომელიღაც მიცვალებულს მიახვეწებდნენ... სასწაულის მოლოდინით ჯერ ერთი ჯვარი დაადეს მიცვალებულს, შემდეგ – მეორე. არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ხოლო, როცა მესამე ჯვარი დაადეს, მიცვალებული მკვდრეთით აღსდგა.

ამ სასწაულის მხილველი ხალხი მიანყდა უფლის ჯვარს სამთხვევად! ხოლო იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიმ იგი მალეობ ადგილზე აღმართა, რათა ყველას შესძლებოდა მისი დანახვა.

ცხოველმყოფელი ჯვარი უფლისა 614 წლამდე იერუსალიმში იყო, ამ წელს სპარსეთის მეფემ ხოსრომ დაიპყრო და გაძარცვა იერუსალიმი. საგულისხმოა, რომ სხვა განძეულობასთან ერთად აღდგომის ტაძრიდან უფლის ჯვარიც წაიღეს.

უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი 14 წლის განმავლობაში ნარმართთა ხელში იყო, მაგრამ 628 წელს ჰერაკლე იმპერატორმა ზავი დადო სპარსეთის მეფესთან, ჯვარი იერუსალიმში დააბრუნეს, იმპერატორმა მოისურვა საკუთარი ხელით აეტანა ჯვარი გოლგოთაზე, მაგრამ რაღაც ძალამ იგი შეაჩერა. პატრიარქმა მიიღო საღვთო გამოცხადება, რომ არ შეიძლებოდა სამეფო შესამოსლით შემოსილ კაცს აეტანა ჯვარი წამების ადგილას, რადგან მეფური დიდებულება შეუთავსებელი იყო ამ დამცირებასთან, რაც უფალმა განიცადა ამ გზაზე. მეფემ გაიხადა სამეფო შესამოსელი და უბრალო ტანსაცმლით, ფეხშიველმა მიიტანა ჯვარი აღდგომის ტაძრამდე... ამ დღიდან 27 სექტემბერს განწესდა მსოფლიო დღესასწაული ჯვარის ამაღლებისა.

გიული ლიპარტია

ყურადღება!

იყიდება დიდ დილოში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მინის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შემთხვევით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

ვახიანთა საყურადღებოდ!

ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ ინფორმაციაა...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დანერგულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ცინცხალი ანეკდოტები

– ორეული მინდა
– შენ რა, იქნებ ფიქრობ, რომ შენი ორეული სამსახურში შენ მაგივრად ივლიდა? შენ კი წამონვებოდი მხარ-თეძოზე და მორთავდი ყვირილს:
„მინდა სამეული“.




– მითხარი ერთი, რამის ნიჭი თუ გაქვს?
– ერთადერთი ნიჭი მაქვს: ყველაფერი ჩავსვარო ამქვეყნად.

ტურიტი ეგზოტიკური ტურიდან იტყობინება:
„მდინარეში ლოდება, ნაპირებზე – ნიანგები. სხვა გზა არ გვაქვს, ხეებზე ვსხედვართ, მაგრამ მიაიშვნებს ძალიან უნდათ სექსი“.

სასამართლოში:
ადვოკატი: – დაასახელეთ თქვენი დაბადების დღე?
მონწმე: – 18 ივლისი.
ადვოკატი: – სად?
მონწმე: – ყოველ წელიწადს.

კადრი



იგრძნო თავი ლილიუტად გოლიათების ქვეყანაში შეიძლება, თუ გაისეირნებ უზარმაზარი მაგიდის, თანამედროვე ხელოვნების გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატის ქვეშ. გამოფენა მოენყო ამ დღეებში ლოს-ანჯელესში (კალიფორნია, აშშ).

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ატვირთავს ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
საქართველოს რესპუბლიკის
გამომცემელი
საქართველოს რესპუბლიკის
გამომცემელი
საქართველოს რესპუბლიკის
გამომცემელი
საქართველოს რესპუბლიკის
გამომცემელი

გამომცემლობა:
შპს „თანადგომა-1“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“ გრ. რობაქიძის №7

uac(უაქ)070.4(479.22)
 5-323
 ISSN 2233-3851
 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი
 ალექო ასლანიშვილი
 293-37-87;
 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
 გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
 რუსლან რუსია 599 17-21-21;
 სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35
 პასუხისმგებელი მდივანი
 მამუკა ვაშაძიძე